პარასკევი 1919 წ. მაისის 9 № 99

ყოველდღიური გაზეთი

პარასკევი 1919 წ მაისის. 9 № 99

ფ ა ს ი 1 მან. და 50 კ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება - 90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

გულ მოკლული და მარმარე, სიძე ნიკო შვილებითურთ ფარნაოზით და სოფიოთი იაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ახალციხესთან ბრძოლაში კრილობის გამო გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი პორუჩიკი თელავის მე-6 პოლკის

## იოსებ ივანეს ძე ესტაფიძე

პანაშვიდები ყოველ დღე ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათზე და სალამოს 6 საათზე დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 მაისს, დიდუბის ეკლესიაში. 3—2364—1

შაბათს 10 მაისს სოფელ ქალას გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და საყვარელ

**მოსე ნიკოლოზის ძის**

## გოგიტიძის

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებული დები:- კატო ჩიგოგიძისა ქმარით და შვილებით, ელენე თაყაიშვილი შვილებით, ძმები ივანე და რუბენ გოგიტიძენი ცოლ-შვილით. (1—64—1)

**პარასკევს სახელმწიფო თეატრში მაისის 9-ს**

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი

ჰმართავს წარმოდგენას მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა სასარგებლოთ. წარმოდგენილი იქნება არაყიშვილის ოპერა

## „თქმულება შოთა რუსთაველზე“

ფასები ჩვეულებრივია.

(1—2359—1)

**კვირას, 18 მაისს 1919 წ. ქართ. კლუბის დარბაზში**

დანიშნულია **წლიური, საერთო კ რ ე ბ ა**

## ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა

**უ წ ყ ე ბ ა:** 1. კონცერტი. 2. გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება 1818 წ ანგარიშის შესახებ. 3. სამუს. სკოლის მდგომარეობა. 4. მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. 5. მოხსენება გამგეობისა მომენტის გამოწვევის: ა) მოხსენება, რომელიც გამგეობამ წარუდგინა დამფუძნებელ კრების სახელოვნო კომისიას. ბ) გაფართოვება ქართ. სამუს. საზ. კომპეტენციისა. გ) ორგანიზაცია სამუსიკო—ხელოვნების კოლეგიისა ქართ. სამუს. საზ. დ) ფინანსიური კითხვა. ე) ურთი-ერთი დამოკიდებულება მთავრობასთან. 6. მორიგი კითხვები. 7. წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და დამატება.

**კრება დანიშნულია დილის 11 საათზე. თუ საკმარისი რიცხვი არ გამოცხადდა მაშინ მეორე კრება ინიშნება 12 ს. და ითვლება კანონიერად.**

ქ. სამ. საზ. გამგეობა.

(1—63—1)

## სახელმწიფო თეატრი

სახელმწიფო თეატრის დირექცია საოპერო გუნდში მომღერლებს იწვევს.

ხმის გასინჯვის შემდეგ მომღერლები სახელმწიფო თეატრის სამსახურში ჩაირიცხებიან და ჯამაგირი დაენიშნებათ.

**ჩაწერა ჰსწარმოებს ყოველდღე, თეატრის კონტორაში,**

დილის 11 საათიდან—2 საათამდე.

ხმებს პირველად გაუსინჯავენ მარტის 12-ს 2 საათ.—4-ამდე.

(4—3)

## ქალაქ ქუთაისში

ალექსანდროვის და პუშკინის ქუჩის კუთხე (ცენტრში)

**ქირავდება ბაღი**

## „ე ლ ი დ ი“

**საზაფხულო ბუფეტით პავილიონით და**

მთელი მოწყობილობით

პირობების გაგება შეიძლება წერილობით ქალაქ ხონში ჩხიკვიშვილთან და პირადათ ქალაქ ქუთაისში სასტუმრო „გრანდ ოტელში“.

6—2356—4

## იყიდება სახლი

1-ლ სამილიციო ნაწილში, მეორე პოდგორნი პრიხოდში, 4 ოთახი 140 საჟ. მიწა. იკითხეთ „პეტროვსკის“ ქუჩაზედ № 46. ოდიშვილთან.

5—65—1

ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოებანი

**სახელმწიფო თეატრში**

პარასკევს, 16 მაისს, გაიმართება

## სასულიერო კონცერტი

## ახალი ლიტურღია

მუსიკა დ. არაყიშვილისა

## არსება აზერბაიჯანის გაფიცვისა

ჩვენ თვალწინ იშლება პირველი ეპიზოდი ბოლშევიკურ მოძრაობის გაძლიერებისა მთელს კავკასიაში.

აზერბაიჯანის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს შრომის ყოველს დარგში. როგორც ყოველ გაფიცვას, ამასაც თან ახლავს ეკონომიური და პოლიტიკური მომენტი. პირველი უფრო ფაქტიური ხასიათისაა, ხოლო მეორე მომენტი, ამ გაფიცვის თითქმის ერთად ერთი მამოძრავებელი სტიმულია.

რუსეთის დიდმპყრობელურმა იდეამ მოხალისეთა ლაშქრის სახით, ერთობ სასტიკი დამარცხება იგემა, მაგრამ ეს იდეა იმდენად წარმტაცია და დასაფუძვლიანებულია თვით რუსეთის სახელმწიფოებრიობის არსებით, რომ იგი მომქმედ აგენტებს რუსეთის ყოველს დიდს პოლიტიკურ მიმდინარეობაში ჰპოვებს; სადაც მოხალისეთა სახით ფონს ვერ გავა, იქ ბოლშევიკურის მანტიით გვევლინება.

იმპერიალისტურ-ნაციონალისტური ბოლშევიზმი არ ასვენებს კავკასიის თვითგამორკვეულ ერთა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და განმეორებით იერიშებს იწყებს მათ წინააღმდეგ.

აზერბაიჯანში გამოცხადებულმა საყოველთაო გაფიცვამ ამ თავითვე დაგვანახვა თავისი ნამდვილი სახე და მისი შემადგენელი ელემენტები. გაფიცვას მეთაურობს რუსი ილინი და მიქოიანი. გაფიცვას სარჩულად უდევს, ბოლშევიკური რუსეთის უზრუნველყოფა ნავთით და სათბობი მასალით.

მეტად საჭიროა ამ თავითვე გავითვალისწინოთ ამ გაფიცვის გავლენა და შედეგები.

საქართველო მთელი კავკასიის საერთო ეკონომიურ ჩარხის ტრიალში ჩაბმული და ამ ფაქტით ბაქოს გაფიცვის გამო მის ეკონომიურ მდგომარეობას ახალი გაძნელება და გართულება მოელის. ამ მხრივ მისაღებია მთელი რიგი ღონისძიება სწრაფად და ენერგიულად.

ამას გარდა საქართველოს უახლოვდება ბოლშევიკური ოპერაციისა და გავლენის ზონა, რაც თავისებურ აღტკინებას გამოიწვევს და გააძლიერებს ანარქისტულსა და აჯანყების სულის კვეთებას. ესეც მოითხოვს წინანდებულ ენერგიულ ზომებსა და ღონისძიებათა მიღებას. ბევრჯელ გვითქვამს, რომ ბოლშევიზმი დღეს ველიკორუსული, ბატონობის შემომტანია და დამკვიდრებული განაპირა ქვეყნებში.

და თუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ ვერ ჩააქრო ბოლშევიკური აფეთქება და რუსული ბოლშევიზმი, ვერ აღგავა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, მაშინ მეტად სახიფათო ფაქტის წინაშე დავდგებით. ახალი რუსული იმპერიალიზმი მთელის თავისი სიმკაცრით და საშინელებით თავს წამოგვადგება და ჩვენ მეტად სერიოზული საფრთხის წინაშე დავდგებით. რუსული იმპერიალიზმი ორისა და შეიძლება სამის მხრიდანაც მოგვაწვეს. ცეცხლის რკალში გახვეულთ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

საჭიროა ყველა ამ მომენტის სათანადოდ შეფასება და აქედან აუცილებელ დასკვნის გაკეთება. ამაში დაინტერესებული უნდა იყვნენ არა მარტო კავკასიის ერები, არამედ მოკავშირენიც, რომელთა ადგილობრივ პირობების უცოდინარობამ უთუოდ ითამაშა დიდი როლი ამ გაფიცვის მომწიფებაში.

ნაცვლად იმისა, რომ თვისი პოლიტიკის მორალური გამართლება ადგილობრივ ერებში ეძებნათ, მოკავშირეები დაეყრდნენ სრულიად უსამართლოდ და მიზანშეუწონლად უსიცოცხლო დენიკინელებსა მათ ინფორმაციას კავკასიის ერთა შესახებ.

ამან მრავალი სამწუხარო ნაყოფი გამოიღო და სანამ ჯერ კიდევ მთლად არ დაგვიანებულა, რადიკალურად უნდა შეიცვალოს მოკავშირეთა პოლიტიკა.

უკიდურეს შემთხვევაში დაიწყება საშინელი ანარქია, არევ-დარევა, დამბლა დაეცემა მთელს მეურნეობასა და ეკონომიურ ცხოვრებას და ყოველი პირუთვნელი ადამიანი აღნიშნავს რომ ამ ანარქიის წარმოშობაში წილი კავკასიის ერებს კი არ უდევსთ, რომელნიც სახელმწიფოებრივ თვით არსებობისათვის იბრძოდნენ, არამედ იმ სახელმწიფოთა პოლიტიკას, რომელნიც წესიერების დამყარების მაგიერ ეწვიენ კავკასიის ხალხებს.

## ომის პოპულიარობა

საქართველო დღეს ორ ფრონტზე აწარმოებს ომს. სხვა ქვეყნებში ომის პოპულიარობისათვის არაფერს არ ერიდებიან... ყოველი მთავრობა დაინტერესებულია, რომ ომი იგრძნოს ხალხმა და ყოველ ბრძოლაში გამარჯვებულია ხალხური სტიქია თუ ერი არ დაჰიმავს ყველა ნერვებს და არ აითვება თავგანწირვის სურვილით, თუ პატრიოტიზმი არ ადუღდება თავდავიწყებამდი—ჯარი, რაც უნდა გულადი ხალხისგან შესდგებოდეს და განათლებული სარდლები ჰყავდეს წინდაწინ დამარცხებულია. ყოველ ომის დროს ეს ასე ყოფილა და ამის გამეორება, მხოლოდ იმიტომ არის საჭირო რომ საქართველოში ამის შეგნებამდი ჯერ კიდევ არ მისულან.

ყოველთვის საქართველოს იხსნიდა ეროვნული სტიქია. როცა ჩვენი მთავრობა და დიპლომატია არწმუნებდა საქართველოს პარლამენტს, რომ სომხებს ომი არ უნდათ—და არც არაფერი სამზადისი არ ყოფილა ომისთვის—მხოლოდ ხალხმა იგრძნო უდიდესი საფრთხე და როგორც ერთი კაცი გავიდა ბრძოლის ველზე, რომ დაემარცხებია მტერი. და კიდეც მოახერხა ეს თუმცა მთავრობამ ვერ გამოიყენა ეს შემთხვევა. . დღესაც საქართველო ორ ფრონტზე აწარმოებს სასტიკ ომს — ორივე ომის მოგებაზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი, როგორც სახელმწიფოსი... ხალხმა კი არაფერი იცის ამ ომების შესახებ... არ იცის სად რომელი სარდალი იმარჯვებს და ამ სარდალის ვინაობა; ჩვენ ვიცით როგორ ეპყრობოდა ევროპის პრესსა თავიანთ სარდლების პოპულიარობას და რა საშუალებას ხმარობდა ამისთვის—ჩვენ მენშევიკებს არ სწამთ სარდლობა და ყოველი გენერალი წინდაწინ დარწმუნებულია იმაში, რომ უმადური ამბავი მავრის სამსახურზე განმეორდება და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა იქნება, თუ კიდევ ღალატი და უფრო უარესი არ დააწამეს. ხალხს სჭირია გმირი, მისი კულტი, რწმენა, იმედი, სახელი და აღფრთოვანება. ჩვენ ბევრჯერ გაგვიმარჯვებია მტერზე, ჩვენი ჯარის მიერ არდაგანის აღება მხოლოდ დეპეშებმა აღნიშნეს, ამის შესახებ წერილიც არ ყოფილა და მანიფესტაციებს ხომ ადგილი არ ჰქონია.. რამდენი მოქალაქე მიიღებდა ამ მანიფესტაციაში მონაწილეობას, რამდენი კეთილშობილი პატრიოტი და მოქალაქე იგრძნობდა იმ დღეს საქართველოს გახარებას და არ დაიმალებოდა, რომ თავისი ხვედრი არ მოეტანა ამ დღისთვის, ფიქრით—თუ უფრო მატერიალური შემწეობით—მაგრამ მენშევიკებს, მხოლოდ თავიანთი თავის და პარტიის რეკლამა აინტერესებს და ამისთვის ფულებსაც ბევრს შოულობენ დემონსტრაციებისთვის, პლაკატებისთვის და დემაგოგიურ ფურცლებისათვის.

ამიტომ არის, რომ ყოველი სოფლის პროპაგანდისტი, რომელიც ეხლა არც დამფუძნებელ კრების წევრობას იკლებს, უფრო ცნობილია ვინემ გენერალი კვინიტაძე და გედევანიშვილი.

ყველაფერ ამას შეუძლია სამუდამო ატროფია უყოს ერის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ შეგნებას და როცა საჭირო იქნება პატრიოტული ხმის ამაღლება და სახელმწიფოებრივი შეგნება კრიზისი სწორედ მაშინ დადგება.

უნიჭოთ ჩატარებული მობილიზაცია არწმუნებს ხალხს, რომ სასაკლაოზე მიყავან მათი შვილები და ამისთვის არაფერს აძლევენ სამაგიეროთ, რომ ხალხმა თავი დაიმშვიდოს პატრიოტული იდეით, იგრძნოს რა დიდი საქმე კეთდება და როგორ საჭიროა საქართველოსთვის ეს მსხვერპლი...

ჩვენი ჯარი მოკლებულია ზრუნვას; მისთვის არც აღდგომა არ ის და არც სხვა დღესასწაული—და გახარება.

უნდა მოეღოს ერთხელაც არის ბოლო ამ უყურადღებობას.

## გაფიცვა ბაქოში

ბაქოში საერთო გაფიცვა გამოცხადდა. გაფიცულები არიან რკინის გზის მოსამსახურეებიც. გაფიცვას, როგორც იქიდან ჩამოსულები არწმუნებიან, წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს.

ბოლშევიკები დაუფარავად ეწევიან აზერბაიჯანის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას, ავრცელებენ რუსულსა და ინგლისურ პროკლამაციებს. „ჰუმეტი“ ბოლშევიკებს მხარს უჭერს. აზერბაიჯანის მთავრობა წინააღმდეგი არ არის იმ მოთხოვნილებისა რომელიც მუშათა კონფერენციამ წარუდგინა. სახელდობრ: საბჭოთა რუსეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწყობა; მაგრამ ამას ხელს უშლის ინგლისის სარდლობა.

მთავრობა თანახმაა მიიღოს მუშათა მეორე მოთხოვნილებაც, კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ და ამაზე მოლაპარაკება ბოლშევიკებთან გრძელდება.

„მენშევიკები“, ესერები და მაჰმადიანები მუშები გაფიცვას მხარს უჭერენ. „მუსავათი“ კი ამტკიცებს, რომ მუშათა გაფიცვის მიზანია აზერბაიჯანის თავისუფლების მოსპობა და მთლიანი „ბოლშევიკური ფრონტი“ს აღდგენა. მუშათა კონფერენციაზე გაგზავნილი ინგლისელი ოფიცერი კაარ. ვალტონი კრებაზე არ დაუშვეს. მუშებმა განაცხადეს რომ, კრებაზე დასწრების უფლებას ინგლისელთაგან მხოლოდ ჯარისკაცთა წარმომადგენლებს მიეცემათო.

მდგომარეობა აუტანელია... გაფიცვა ჯერჯერობით მშვიდობიანათ მიმდინარეობს. მცხოვრებლებს მეტათ აწუხებს უწყლობა და უნავთობა. როგორც ბაქოდან იტყობინებიან მუშებს საკმაო თანხა აქვთ და გაფიცვის გაგრძელების არ ეშინიანთო.

ინგლისელთა სარდლობა ჯერ ნეიტრალურია.

## სოციალისტური კომისია საქართველოში

გაზეთ „ტაიმსის“ აპრილის 2-ის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„ბერნის საერთაშორისო კონფერენციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა პირველი მაისისათვის მანიფესტი გამოსცეს. ხალხთა ლიგის პროექტის შემსწავლელ კომისიის თავმჯდომარეს რობერტ სესილს მან აცნობა ის ცვლილებანი, რომელიც სოციალისტებს ჰსურთ ამ პროექტში შეიტანონ. ბოლოს მან პროტესტი განაცხადა იმაზე, რომ სოციალისტ დელეგატებს, რომელიც მინდობილი ჰქონდათ რუსეთში ანკეტის მოხდენა პასპორტები არ მისცეს. კომიტეტმა გაარჩია რამდენიმე დელეგაციის არჩევის საკითხი. ამ დელეგაციებს მინდობილი აქვთ სხვა და სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში, წასვლა, რომ მუშათა კლასის ერთობა განამტკიცონ

# უკანასკნელი ცნობები

იტალიელი დელეგატები პარიზში დაბრუნდნენ.

ომის პასუხისმგებლობის კომიტეტი ნიდერლანდიისაგან მოითხოვს კაიზერ ვილჰელმის გაცემას.

ლიფლიანდიის და კურლიანდიის ფრონტზე საბჭოთა ჯარი იხევს, ხოლო მარიენბურგის მიმართულებით წინ მიიწევს.

სტრალზუნდში საალყო წესები გამოცხადდა.

ჰუნგრეთის დელეგატები მაისის 15-სათვის არიან მოწვეულნი.

ჩინეთის დელეგაცია უკმაყოფილოა შანდუნის საკითხით.

მარშალ ფოშმა განაცხადა, რომ საფრანგეთი რეინის მხრით უზრუნველყოფილი არ არის.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

### შავი ზღვის სანაპიროზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საერთო განყოფილების უფროსმა თანხმათ სამხედრო მინისტრის ბრძანებისა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის დირექტორს განკარგულებისათვის შავი ზღვის პირის მოსაზღვრე ჯარების უფროსის მოხსენების ასლი. მოხსენებაში ჯარის უფროსი სხვათა შორის სწერს: „მთელი შავი ზღვის პირი სავსეა სხვა და სხვა პირებით, რომელნიც ერობების, ქალაქთა თვითმართველობის, სასურსათო გამგეობათა სასურსათო კომიტეტების და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებათ და რწმუნებულებათ ალიარებენ თავს სიმინდის შესასყიდათ საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის. ბევრს მათგანს მანდატები არა აქვთ ან თუ აქვთ, ყალბი საბუთებით ან და მოწმობებით იმ დაწესებულებათა, რომელნიც დიდი ხანია დაშლილია. რომ ბოლო მოეღოს ამ ბოროტ-მოქმედებას და შეთანხმებულ მოქმედებას ნამდვილ რწმუნებულებთან ალაგი მიეცეს, ვთხოვთ თქვენს შუამდგომლობას შინაგან და მიწათ-მოქმედო მინისტრებთან, რათა 1) ყოველ გვარ შემთხვევაში, როცა კი რწმუნებული ინიშნება სიმინდის შესასყიდათ მეცნობოს მე მათი ვინაობა, 3) უბრძოთ განკარგულება ზღვის პირის ერობებსა და ქალაქის თვითმართველოებს გამოგზავნონ ხოლმე სიები ყველა ამ ერობათა რწმუნებულებისა და გარდა ამისა, დამავალოთ, როგორც სანაპირო რაზმის უფროსს ბრძოლა ამ ბოროტ-მოქმედებასთან, რომელთაც გააქვთ სიმინდი საზღვარ გარეთ. ამ მოხსენების ნამდვილზე ხელს აწერს პოლკოვნიკი ჩიქოვანი, რაზმის ადიუტანტი ლორთქიფანიძე.

## სახალხო განათლების სამინისტროში

### ექსტერნებისათვის სიმწიფის მოწმობის მიღების წესი.

განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ექსტერნებისათვის სიმწიფის მოწმობის მისაღებად გამოცდების ჩაბარება, თბილისში მოხდეს ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. ამიტომ ვისაც სურს სიმწიფის მოწმობის მისაღებად გამოცდები ჩააბაროს, უნდა მიმართოს ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორს ბ-ნ ღულაძეს. საამისოთ სათანადო განკარგულება, სამინისტროს მიერ, ეცნობა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორს.

### სიმწიფის მოწმობის ნიმუშები.

განათლების სამინისტრომ უკვე დაამზადა მიმდინარე სასწავლო წელში კურს დამთავრებულთათვის სიმწიფის მოწმობები. მოწმობებს გარედ ყდაზე აწერია „სახალხო განათლების სამინისტრო“, თვით შიგნით ქაღალდში გამოყვანილია ქართული ღერბი, თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, სამინისტრომ ამას წინად სათანადო ცირკულიარი დაუგზავნა საშუალო სასწავლებლების დირექტორებს, რომელშიც თხოვდა მათ შეეტყობინებიათ, თუ რამდენი ცალი დასჭირდებოდათ ხსენებული მოწმობებისა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ამ ჟამად სამინისტროს თითქმის მიღებული აქვს ყველგან ასეთი ცნობები და სათანადო რიცხვი მოწმობებისა სასწავლებლებს გაეგზავნებათ ამ ახლო ხანში.

# მთავრობის ცნობები

## იუსტიციის სამინისტროში

### კანონ-პროექტი სახელმწიფო მოხელეთა დაქორწინების შესახებ

იუსტიციის მინისტრმა შეუფერებლად სცნო რუსეთის კანონი დაქორწინების შესახებ, რომელიც ამბობს: „როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო სამსახურის მოხელესათვის აკრძალულია დაქორწინება უფროსის ნებადაურთველად.“

მინისტრის აზრით ასეთი კანონი შეეფერებოდა ძველ დროს როდესაც წოდებათა უთანასწორობა ყველა დარგში სუფევდა და როდესაც ადამიანის პიროვნება დაჩაგრული იყო. ამ ჟამად კი დაქორწინების შეზღუდვას არავითარა აზრი არა აქვს და იგი გაუქმებული უნდა იქმნეს.

იუსტიციის მინისტრმა ამის შესახებ შეადგინა შემდეგი კანონ-პროექტი:

„გაუქმებულ იქმნას საქართველოს ტერიტორიაზე ძალა სამოქალაქო კანონთა კრებულის (ტ. X ნაწ. I) მე-9 მუხლისა, სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-1665 მუხ. და აგრეთვე სამხედრო და სამხედრო საზღვაო კრებულში მოთავსებული იმ დადგენილებათა, რომლებიც ხმელეთისა და საზღვაო ჯარში მყოფ მოსაასახურეთათვის დაქორწინებისათვის მოითხოვს მათი უფროსის ან მთავრობის ნებართვას და ამის აუსრულებლობისათვის მათ დასჯას“.

ხსენებული კანონპროექტი მოწონებულია მთავრობის მიერ.

### ოზურგეთის გზაზე ფოსტაზე დამცემთა საქმე

ქუთაისის საგანგებო სასამართლომ გაარჩია საქმე ნაკაშიძის და მისი ამხანაგების, რომელთაც ბრალდებოდათ ოზურგეთის შარაგზაზე ფოსტაზე დაცემა და ფოსტალიონის მოკვლა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და ყველას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

**ნაფიც მსაჯულთა არჩევნებისათვის.** იუსტიციის სამინისტროს თხოვნები მოსდის თითქმის ყველა სამაზრო ერობებიდან, ნაფიც მსაჯულთა არჩევნების დრო გაგრძელებულ იქმნას. სამინისტრომ განუმარტა მათ, რომ მათი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება და არჩევნები უნდა მოხდეს დანიშნულ დროს.

## ქრონიკა

**ადეიშვილის დატუსაღება.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გაუგზავნა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ქუთაისში, რომ დაუყონებლივ დააპატიმრონ სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ადეიშვილი.

ამის საპასუხოდ მინისტრმა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწისაგან დეპეშა მიიღო, რომ 7 მაისს დილით დატუსაღებულ იქმნენ ხსენებული ადეიშვილი და მისი საქმის მწარმოებელი ჯულაყიძე.

**თბილისის მილიციის რეორგანიზაცია.** როგორც კერძო ცნობებიდან გავიგეთ განზრახულია თბილისის მილიციის სრული რეორგანიზაცია.

**დანიშვნა.** თბილისის მილიციის უფროსის განკარგულებით მე-4 უბნის კომისრად მიქაბერიძე დაინიშნა.

**ყოფილი დედოფალი და დიდი მთავარი ბათუმში.** როგორც გავიგეთ ბათუმში ინგლისელთა ნაღმოსნით, ყოფილი დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩამოსულან. ისინი ინგლისელთა გემზე სცხოვრობენ

**რუს. სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბათუმში.** ბათუმიდან მიღებულ ცნობით იქ ჩამოსულა ბოლშევიკებისაგან გამოქცეული ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს წევრი ტისლენკო.

**მისასალმებელი დეპეშა.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო ახალციხიდან: სახალხო გვარდიის სათადარიგო ნაწილის წარმომადგენელთა ყრილობა სალამს უძღვნის მთავარ შტაბს, ყველა გვარდიელსა და ჯარისკაცს. ყრილობა ფიცსა სდებს, რომ როცა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას საფრთხე მოელის, ისინი როგორც ერთი კაცი გამოვლენ და რესპუბლიკის დამოუკიდებლობას თავიანთი სისხლით დაიცავენ.

## სახელმწ. უნივერსიტეტში.

**სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო-სამკურნალო ფაკულტეტი გაყოფა.** ამდენხანს ერთად არსებული სამათემატიკო - საბუნებისმეტყველო-სამკურნალო ფაკულტეტი ბუნებრივი ზრდა-განვითარების გამო ორ დამოუკიდებელ ფაკულტეტად გაიყო: სამათემატიკო - საბუნებისმეტყველო ფაკულტეტად და სამკურნალო ფაკულტეტად.

**ფაკულტეტების დეკანებისა და მდივნების არჩევნები.** მოხდა ახალი არჩევნები ფაკულტეტების დეკანებისა და მდივნებისა. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე დეკანად არჩეულია: ივ. ჯავახიშვილი, მდივნად აკ. შანიძე. სამკურნალო ფაკულტეტზე: დეკანად ალ. ნათიშვილი, მდივნად ზ. მაისურაძე. (სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის არჩევნები ჯერ დამტკიცებული არაა პროფესორთა საბჭოს მიერ).

**მე-3-ე კურსი სამკურნალო ფაკულტეტზე.** შემოდგომიდან სამკურნალო ფაკულტეტზე მესამე კურსი იხსნება, ხოლო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სამეურნეო განყოფილება.

**ახალი პროფესორები.** უნივერსიტეტში პროფესორებად მოწვეულნი არიან: აკადემიკოსი სერგი ნავალიშინი (ბოტანიკის კათედრაზე), ოდესის უნივერსიტეტის პრ.-დოც. იასონ მოსეშვილი (ქიმიის კათედრაზე, მეორე პროფესორად), ოდესის პოლიტეხნიკუმის დოცენტი დიდებულიძე (ფიზიკის კათედრაზე).

**რუსეთიდან გამოწვეული მეცნიერები.** რუსეთიდან რადიო—დეპეშებისა და წერილების საშუალებით გამოწვეულნი არიან უნივერსიტეტში პროფესორებად არჩეული მეცნიერები: ა) თვალჭრელიძე ალექსანდრე, მინერალოგიის კათედრაზე. ნოვოჩერკასკის პოლიტეხნ.) ბ) ალადაშვილი ალექსანდრე, დიაგნოსტიკის კათედრაზე (ხარკოვის უნივერსიტეტი), გ) ამირეჯიბი სიმონ, ბაქტერიოლოგიის კათედრაზე (ხარკოვის უნივ.), დ) ჰეიშვილი პარმენ, ფარმაცია-ფარმაკოგნოზიის კათედრაზე (ხარკოვის უნივ.), ე) ავალიანი სიმონ, მსოფლიო ისტორიის კათედრაზე (ოდესის უნივერ.), ვ) ბერიტაშვილი ივანე, ფიზიოლოგიის კათედრაზე (ოდესის უნივ.), ზ) კაციანი ნიკო, ჰისტოლოგიის კათედრაზე (ეკატერინოსლ. უნივ.), თ) კრინიცკი შალვა, პათოლოგიური ანატომიისა და ჰისტოლოგიის კათედრაზე (დონის როსტოვის უნივერს.)

**პროფ. ნავალიშინის მოწვევა.** სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი პროფესორთა კრებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა მოიწვიოს ბოტანიკის კათედრაზე რუსის გამოჩენილი პროფესორი, ნავალიშინი. ამ უკანასკნელმა დიდის მადლობით მიიღო ასეთი პატივი და დასტოვა თავისი ადგილი ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტში, რომელიც მოკლე ხანში აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გადასვლას აპირებს.

**დეპეშა კათალიკოს პატრიარქის სახელზე.** სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდმა ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „იმერეთის საეპარქიო კრება მოგესალმებათ და მოგილოცავთ თქვენ სრულიად საქართველოს ეკლესიის პატრიარქთა წმიდა საყდარზედ ასვლას, მხურვალეთ ევედრება უფალ-ღმერთს თქვენი უწმიდესობის ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასათვის და იმედოვნებს რომ თქვენი თავდადებული შრომა და ღვაწლი სავსებით გადალახავს დღევანდელ ფრიად გართულებულ ცხოვრების მძიმე პირობებს ბრწყინვალებითი მოსილის საყვარელი სამშობლო ივერიის ეკლესიისას და ხელს შეუწყობს მის მარად განმტკიცებას და აყვავებას. საეპარქიო კრების თავმჯდომარე ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი

**ლექცია.** კვირას 11 მაისს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირთან არსებული კულტურული სექცია, კავშირის ბინაზე (მიხეილის პროსპ. № 139) მართავს მორიგ ლექციას. დასწრება შეუძლიათ მხოლოდ კავშირის წევრებს.

## ეკონომიური ცხოვრება

**საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის.** საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო საქმეთა ცენტრალურმა საბჭომ ბაქოში საქონლის გამცვლელი კომიტეტი დაარსა. ხსენებულ კომიტეტს დამოკიდებულება ექნება ევროპასა და ოსმალეთთან.

**მომავალ წლის მოსავლის რაოდენობის გამოსარკვევად.** ცენტრალურ სასურსათო საბჭო იმუშავებს ზომებს საქართველოს ტერიტორიაზე მომავალი წლის მოსავლის რაოდენობის გამოსარკვევად. განზრახულია სოფლებში მოსავლის შეკრების დროს რეგისტრატორებად სტატისტიკები გაიგზავნონ. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივ ერობებმაც.

**რაჭის მინერალური წყლების მიღება.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სპეციალური კომისია გაგზავნა რაჭაში მინერალურ წყლების მისაღებად.

**თბილისის მინერალურ წყლების გადაცემისათვის.** გუშინ მიწათ-მოქმედების მინისტრს, თბილისის ქალაქის მოურავი ჩხიკვიშვილი წარუდგა და ჰქონდა ხანგრძლივი თათბირი მინისტრთან, თბილისის სამკურნალო წყლების ქალაქის გამგეობაზე გადაცემის შესახებ.

## ლტოლვილთა ცხოვრებიდან.

**ბორჯომის გაწმენდა ლტოლვილებთაგან.** ბორჯომის რაიონი ლტოლვილებისაგან სრულიად განწმენდილია. უკანასკნელად ბორჯომიდან 8 მაისს გაიგზავნა 180 ლტოლვილი.

**ლტოლვილთათვის.** ამერიკელთა კომიტეტმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთათვის 2 ვაგონი ფქვილი და 3 ვაგონი თეთრეული გაგზავნა.

## ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა

### 1. ვ. გუდიაშვილი.

უცნაურია და რთული გუდიაშვილის ხელოვნება. ძირეული ათვისება ძველი ქართული ეკლესიური „ხატულობის“ და ამავე დროს მიღება საფრანგეთის უკანასკნელი ხატვის მანერისა (—ხაზი იმპრესსიონიზმიდან კუბიზმამდე)—აი საით არის მიმართული გუდიაშვილის შემოქმედება. აქ იგი პარალელურად მიდის თანამედროვე ქართულ ხელოვნურ სიტყვასთან. დიდი დაკვირვება არ უნდა მის „პირიმზისას» ან თუ გინდ მის „როსკიპს“ (—»ქალაქის გარეთ“), რომ ერთისაც და მეორეს სახეში ძველი ქართული წმინდანის სახე ამოიკითხოთ. ხოლო ამასთანავე მთელი ფაქტურა ხატულის უაღრესად მოდერნისტულია. არის უხილავი ძაფი ამ ორი სხვა და სხვა ესთეტიური „სამყაროს“ შორის. გუდიაშვილის შემოქმედება სწორი გზით მიდის,—ხოლო უკანასკნელი სინთეზი კიდევ მოსალოდნელია მისგან.

გუდიაშვილი პირველ ყოვლისა გრაფიკიდან გამოდის. ამას მოწმობენ მისი მრავალი ნახატები ფანქარით. მართალია: ხანდახან მისი გრაფიკა კალიგრაფიაში გადადის,—მაგრამ ყოველს შემთხვევაში აქ სჩანს ბეჯითი მუშაობა „ხაზულისათვის“. მის ესკიზებში ამ მხრით ყველაზე უფრო გამოირჩევა—„დილით ქორწილის შემდეგ“.

გრაფიკიდან გუდიაშვილი თანდათან გადადის დეკორატიულში. მხოლოდ უკანასკნელს შრომებში იგი მაგარი ბიჯით უახლოვდება „სიტულს“, რომლის უკანასკნელი მიზანია ფერისა და სინათლის დაუსრულებელი სხვადასხვაობით გადმოგვცეს „მზერის სამყარო“. ამ მხრით „ქეიფი ძმა ბიჭებისა“ გუდიაშვილის შედევრად უნდა ჩაითვალოს: სიუჟეტი აქ აღარ ამძიმებს სურათს: აქ გამარჯვებულია „მზერა“: ხედავ „ძმა ბიჭებს“ და მათი დაუვიწყარი პროფილები სქელ მოშავო ფერებში ჰპოულობენ უკანასკნელის ესთეტიურს დამთავრებას.

სპარსული მინიატიურაც თავს დასტრიალებს გუდიაშვილს. ეს ხაზი აძლევს მის სურათებს ზღაპრულ ელფერს. საგულისხმოა მათში სივრცე და პერსპექტივა. ეს ამობურთული სივრცენი „ცისანაში“ (—სახელი დ. კიპალის დაუბეჭდავი დრამიდან) და „დღეობაში“ და მათზე უჩვეულო პერსპექტივით გამართული ფიგურები აუცილებელ ნიამორებით—აღმოსავლეთური (კერძოთ ქართული) ხატვის მანერისაგან უნდა გამოდიოდეს. თუ ეს არა, ისე ეს სურათები იაფი „მოდერნის“ შთაბეჭდილებას დასტოვებდნენ. ამ სურათებში არის წყალის ხავსის სიმწვანე მეტად დარბილებული.

საინტერესოა გუდიაშვილის სენსუალიზმი: ხორცთან ერთად მის სურათებში ყოველთვის მოსჩანს ჩონჩხი. არის ეს ფიქრის ნისლი, რომ ავხორცობას ბოლოს და ბოლოს ბოდლერის „ლეშის“ ბედი მოელის,—ან და, რომ გუდიაშვილი საეკლესიო ხატვისაგან გამოდის, საცა სენსუალიზმი ასკეზით იკვრივება,—ეს გამოუცნობია: ყოველ შემთხვევაში ეს ხაზი გუდიაშვილის შემოქმედებაში თანდაყოლილია და მერმისში ის უფრო საცნაურად გაიმართება. აქ მხოლოდ მის „როსკიპს“ ავნიშნავ. ექსპრესსიის მხრით ეს სურათი პირდაპირ ჯადოსნურია. ტანის ასეთი აშარული ავხორცობა აღმოსავლეთურს ფონზე ჯერ არავის გადმოუცია. და ამასთან: ავხორცობით აწივილებული ტანი ძველი წმინდანის სახით იცქირება: მის წითელ ტუჩებში არის ლუესის კოცნა, მაგრამ მისი თვალებით ამა სოფლის „განწმენდა“ გამოიხედება.

როგორც პორტრეტისტი გუდიაშვილი სუსტია: მას ჯერ კიდევ არ აქვს პორტრეტის შინაგანი შეგნება. გრ. რობაქიძის პორტრეტში არის ერთი ხაზი ნამდვილი (ამის შესახებ მე მეტს ვერას ვიტყვი). პორტრეტები: პ. იაშვილისა, ტ. ტაბიძისა, გ. ტაბიძისა—ნაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებენ. რუსთაველის პორტრეტში მე ველოდი მეტს თავადობას, მაგრამ ძალზე განელებულს. როგორც სურათი კარგია „ავტოპორტრეტი“. როგორც სახე შესანიშნავია „ნიკო ბარათაშვილი“ (—რასაკვირველია ფონის იმ ნაწილის ოცილებით, საცა ქალებია ჩანგურებით: ეს სრულიად ზედმეტია). ამ პორტრეტში გადმოცემულია მთელი მეტაფიზიკა მალარიის: აქ არის ჰლექიანი ვასაკას სიყვითლე. გენიალობა აქ შეშლილობას კი არ ესაზღვრება, არამედ კრეტინიზმს: ეს უცნაური თავი, ზევით ძალზე გაფართებული (თითქმის ორად გაჩეხილი) და ქვეით ძალზე დაწვრილებული, ლ მა სევდიანი თვალებით, პირდაპირ საშიშარია თავისი შინაგანი ძალების ავადური სიმახვილით.

გუდიაშვილი დასრულებული ოსტატი ჯერ არ არის. მაგრამ მის მიერ არჩეული გზა ნამდვილია. მას მხოლოდ ერთი საფრთხე დაუდგება წინ: თავისთავის განმეორება. თუ ეს უკანასკნელი საფთხე სძლია, შეგვეძლება ქართულ ხელოვნებას მარჯვე ოსტატი მივულოცოთ.

### 2. დავით კაკაბაძე.

უთუო მოდერნისტია დავით კაკაბაძეც. მას აქვს ცოდნა,—და დიდი ხელოვნებისათვის ეს აუცილებელია. ყოველს მის სურათს ახასიათებს ქართული თქმა: „ასჯერ გაზომე—ერთჯერ გამოსჭერი“. ამისათვის მის ხელოვნებას ერთგვარი „მშრალობა“ ემჩნევა,—ხოლო ეს არის სიმშრალე შინაგანი დაწვის და არა ძალთა გამოფიტვის. ერთი რამ არყევს მხოლოდ მის „სიმარჯვეს“: ეს არის სხვადასხვა მანერით წერა: მაგალითად: ავტოპორტრეტი რეალისტური და ავტოპორტრეტი კუბისტური; იმერეთის ხაზები თითქმის რეალისტური და „დაკრძალვა იმერეთში“ სრულიად კუბისტური; აგრეთვე „nature-morte“-ბიც: ერთიც და მეორეც. ხატვის მანერა—ეს ბოლოს და ბოლოს ქვედითი სულის შინაგანი რიტმია. თუ შემოქმედება არ არის ათამაშებული ერთი გარჩეული რიტმით, იმ შემთხვევაში ნაქნარი მხოლოდ „ვარჯიშის“ ნაყოფი იქნება. ვგონებ: დავით კაკაბაძე აქ თავის ტეხნიკას „ცდის“ მხოლოდ. თუ ეს ასეა, მაშინ მხოლოთ ერთი სურვილი იბადება: ამ „ცდას“ არ გადაჰყვეს თან. დარწმუნებული ვარ: არც გადაჰყვება.

საქართველოში ჯერ-ჯერობით უფრო „ეტიუდებია“ ვიდრე “სურათები“. ამ დებულებას ვერც დავით კაკაბაძე იცდენს თავიდან. მისი სურათები, მიუხედავათ იმისა, რომ სასტიკი მოფიქრებით არის მათში შინაგანი კომპოზიცია გაყვანილი, მაინც კიდევ „რაღაცას“ მოითხოვენ. მისი ეტიუდები კი დასრულებულნი არიან: მხოლოთ კიდევ უკეთესნი იქნებოდენ უკანასკნელნი, თუ რომ სურათების ფერებით ყოფილიყვნენ ისინი ახალისებულნი. ეტიუდი № 120 შედევრად უნდა ჩაითვალოს. ყოვლად უნაკლონი არიან „ძველი ტფილისის“ ნახატები ფანქარით (№№: 131—140): ამ ხაზებში ჩვენს ძველ ქალაქს მთელი თავისი დაუვიწყარი სტილი ეძლევა: სახლები, ქუჩები, კუთხენი—ყოველი გაცოცხლებულია ახალი სიცოცხლით.

საგულისხმოა დავით კაკაბაძის შესაბამება პეიზაჟისა და პორტრეტისა: ორივეს ეკვივალენტური თანასწორობა ეძლევათ. მხოლოთ ჩემი პირადი შთაბეჭდილებით—პეიზაჟი უფრო ასულდგმულებულია. „ავტოპორტრეტებს“ როცა ვუცქერდი, უნებლიედ გავიფიქრე: პორტრეტი რომ მოსცილდეს სურათს, უკანასკნელი „ხატულობით“ უფრო მოიგებს-თქო.

დავით კაკაბაძეს აქვს თავის კოლორი. ეს ბევრს ნიშნავს. იმერეთის განუმეორებელი სიმწვანე ზურმუხტოვან ფოთლებში დამუქებული—აი მისი განუყრელი ფერი. მის სურათებში ეს ფერი სჭარბობს. სერია—„იმერეთი“ მხატვარის ესთეტიურ „გულის-ნებათ“ უნდა ჩაითვალოს. პორტრეტებში მაგრათ არის ნახატი მხატვარის ძმა. მხატვარის დედა (ორი სურათი: 104 და 110) გამოცდილი ხელით არის გამოყვანილი: ორივე სურათი ღრმა განცდის ნაყოფია. მაზრამ,—როგორცა ვსთქვი,—იმერეთის ველი და ბორცვები მზერას უფრო თავისაკენ იზიდავენ.

დავით კაკაბაძეს შემოაქვს ქართული „nature-morte“-იც. მშვენიერია ეს „კვდარი ბუნება“: მტრედისფერ სითეთრეზე—ორშიმო (ორნაირი), სარცხელი პურის, დოქი და კარდალი. აქ ყოველ საგანს თავის საკუთარი სული აქვს,—თუმცა ბუნების ყოფისაგან გამოსულია (და ამისათვის ვითომ „კვდარი“). ეს „ნატურ-მორტი“ იმერეთის პურის თავის გუნება.

დავით კაკაბაძე პირველად გვაცნობს თავის თავს. ის ეკუთვნის იმ რჩეულებს, რომლებიც იმედებს ყოველთვის ამართლებენ.

### 3. მოსე თოიძე

ყოველი შემოქმედი სასტიკია – ნიცშეს სიტყვით. ყოველ ხელოვნურ ნაქნარს უნდა მოეპყრა სისასტიკით—შეიძლება ითქვას: მხოლოდ ეს „სისასტიკე“ უნდა იყოს წარმოშობილი დიდი სიყვარულით. მოსე თოიძე არ შეიძლება არ შეიყვარო როგორც მხატვარი და ამავე დროს შეუძლებელია ეს სიყვარული სისასტიკის გარეშე აანთო. მოსე თოიძე ნამდვილი ორგიასტია კოლორის: იგი წარმართული ბაკხანტია მზის ტევრების ნადიმზე. მაგრამ რაღაც საუბედუროთ მას აკლია რკინეული შემოქმედებითი ნება ერთი მთლიანი კომპოზიციის გასაყვანად „ხატულის“ სფეროში.

აიღეთ მისი „ძველი და ახალი საქართველო“. მხატვარს სურს ერთი მეორეს დაუპირდაპიროს ორი საქართველო: ძველი და ახალი: პირველი უშრომო დ უდარდელი, მეორე შრომიანი და მწუხარე. იმის მაგიერ, რომ ეს იდეა მხატვარს ერთი სტილით გაეხსნა, იგი ერთსა და იმავე ტილოზე ორ სტილს მიმართავს: თავისას და იაფი „მოდერნისას“. ეს შეუწყნარებელია. ან კიდევ: მისი—„რევოლუცია“. აქ სიუჟეტი ამძიმებს სურათს: იდეა იმდენათ უბრალოა და ამასთანავე „პუბლიცისტური“, რომ ტილოზე „ხატული“ სულ აღარ მოსჩანს. ასეთი ტენდენციური შემოქმედება ხელოვანს ვერასოდეს გამარჯვებამდე ვერ მიიყვანს.

უნდა ითქვას სრულიად გულახდილად: მოსე თოიძეს სურათი არ ემარჯვება: ამისათვის მას აკლია გამძლე კომპოზიციური ძალა. ამ მხრით მეტად დამახასიათებელია მისი „უდღოფლი საავგარაკოთ“. ზედა მხარე სურათისა ფანტასტიური თავის ხალისიანი აფერადებით; წინა ნაწილი ფიგურებით მოისუსტებს. ეს რომ არ იყოს, სურათი უთუო შედევრათ უნდა ჩათვლილიყო. სამაგიეროთ, საცა ძლევამოსილი კომპოზიცია არაა საჭირო, იქ მხატვარს ლამაზი სურათი გამოუდის: ასეთია მაგალითად მის „დარბაზები“: ერთიც და მეორეც. აქ არის მყუდროება წყალის ღია ფერებში გახსნილი.

მოსე თოიძე მარჯვეა ეტიუდებში, საცა ფრაგმენტალური შემოქმედებაა. მშვენიერია „მთვარიანი ღამე“. მზე და ყვავილებია „ახალქალაქის გზაში“. საერთოდ: საუცხოვოა ჩრდილოებში გაყვანილი მზის ფერები. მოსე თოიძე ქურუმივით ცოცხლობს ხელოვნებით,—და ჩვენც ველით მის უკანასკნელს დაწვას და საიდუმლო წირვას.

### 4. ერეკლე თოიძე.

ჯერ კიდევ ბავშვი მაგრამ ნამდვილი ხელოვანი აი ერეკლე თოიძე (—შვილი). მისი ნახატები ფანქარით—ეს რაღაც სასწაულია. როცა ცნობილმა მხატვარმა სერგეი სუდეიკინმა ჩაუარა ამ ნახატებს, გაოცებით წამოიძახა: ეს ხომ ნამდვილი გუსტავ დორეა! მაგრამ ამასთანავე გაწუხებს მისი მომავალი: „შემდეგ“? „ქვეით“?—აი ეჭვიანი კითხვები. მას ჰირდება ბეჯითი სწავლა,—ის კი დასრულებულ ნახატებს იძლევა. ვაი თუ ეს ჩვეული „ვუნდერკინდობაა“!. ეს ფიქრი კიდევაც გიფლობთ, როცა მის სურათებს უცქერით: მისი „დღეობა“, „სოლომონ ბრძენი“ და „კეკლუცები“—ძალზე სუსტს შთაბეჭდილებას სტოვებენ; მი-

## ბოროტ-მოქმედებანი.

**ბოროტ-მოქმედთა შეპყრობა.** 5 მაისს მე-6 უბნის კომისარმა ჯანაშვილმა შეიპყრო ნიკოლოზ და არტაშ არუთინოვები, რომელთაც ოსიპოვის ბინიდან (ნავთლუღის ქუჩა) 19,000 მან. მოპარვა ბრალდებათ. მათ სრულად აღმოაჩნდათ ფული რომელიც პატრონსავე გადაეცა.

**ქურდობა** ყუკოვის ქ. მცხოვრებ ავეტის საკოვმა მილიციას განუცხადა, რომ 7 მაისს მისი ბინიდან 77,000 მან. ღირებული ნივთები მოიპარეს. მილიციამ შესაფერ ზომების მიღების შემდეგ დააპატიმრა საკოვი, არაქელიანი და შახნაზაროვი, რომელნიც ქურდობაში გამოტყდნენ.

**ქურდობა.** 5 მაისს კარაპ. ტერმიკირტიჩის ბინიდან (ბებუთოვის ქ.) ბოროტ-მოქმედებმა 20,000 მან. ღირებული სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს.

**თ. სახოკიას გაძარცვა.** მაისის 5-ს, ღამის 11 საათზე, მილიციონერების ტანსამოსში გამოწყობილი ორი ბოროტგამზრახველი დაჰხვდა შინ მიმავალს თ. სახოკიას და ჯერ მოსთხოვეს რევოლვერი. რაკი რევოლვერი არ აღმოაჩნდა, ჯიბეები გაუჩხრიკეს, მაგრამ ვერც ფული უპოვეს. უბის საათი კი არ მოეწონათ, თუჯისააო. უკითხავთ ვინაობა და როცა გაუგიათ, რომ მასწავლებელი იყო, ნაწყენის კილოთი უსაყვედურნიათ: არ გრცხვენიათ, მასწავლებელი კაცი უფულოდ დადიხართო.

—

## სამხატვრო ქრონიკა

**პოეტების ცეხი „კალჩუგა"** 7 მაისს იყო საზეიმო გახსნა რუსი პოეტების ცეხის „კალჩუგა"-ს გაზაფხულის სეზონისა საზეიმო სხდომას დაესწრენ; მხატვარი ს. ი. სუდეიკინი, პოეტი ვასილი კამენსკი. და სხვები.

სიტყვები წარმოსთქვეს ქართველმა პოეტებმა: პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ, რომელნიც ირიცხებიან ცეხის საპატიო წევრებად

შემდეგ იყო ლექსები. წაიკითხეს რუსმა და ქართველმა პოეტებმა...

—

**სახულიერო კონცერტი.** პარასკევს, მაისის 16-ს სახელმწიფო თეატრში გაიმართება ახლად დაწერილი ლიტურღია, მუსიკა დ. არაყიშვილისა. ამ კომპოზიტორის ქართული ოპერა უკვე ჩვენმა საზოგადოებამ მოისმინა და ღირსეულად დააფასა. დ. არაყიშვილი პირველი მერცხალია ქართულ ოპერისა და, რა თქმა უნდა, ჩვენ დიდის სურვილით ველით ამ კონცერტს და იმას თუ, რამდენად ტიპიურად და ხელოვნურად არის დაწერილი ქართული ლიტურღია.

## პროვინციის ცხოვრება

### ფოთი.

მაისის 6. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ხოფერია. განახლდა კატერების მიმოსვლა რიონზე ჭალადიდამდე, მალე მიმოსვლა დაიწყება ორპირამდე. განახლებულმა მილიციამ შეიპყრო გერმანელ ქვეშევრდომის, ბაჟერის მძარცველები: ფერმალი ტიმოთე ცანავა, უნტერ-ოფიცერი მირიან გოგიჩაიშვილი და ჯარის კაცი მიხეილ ჰანტურია რომელთაც წინასწარ გამოძიებიდან სჩანს, ფოთში მათ ჰქონიათ შანტაჟისტური ორგანიზაცია. გამოძიება გრძელდება.

### ქ. სოხუმი.

1919 წ. აპრილის 23 შეიკრიბა მუსიკის მოყვარულთა ჯგუფი სოხუმელ—ქართველთა საზოგადოებისა, მოისმინა მოხსენება კრების თავმჯდომარის ნიკოლოზ თავდგირიძის და თბილისის ქართულ სამუსიკო საზოგადოების რწმუნებულის ზ. ი. ჩხიკვაძისა ქართ. სამ. საზ-ბის ფილიალურ განყოფილების დასაარსებლად ქ. სოხუმში. ერთხმად დაადგინა: დაუყოვნებლივ დაარსებულ იქმნას ქ. სოხუმში განყოფილება ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა

ამავე კრებაზედ ამოირჩიეს გამგეობის წევრები შემდეგის პირებისაგან: თავმჯდომარე ასტამურ ინალიპა, ამის ამხანაგად ნიკო თავდგირიძე, წევრებად: ვლადი ემუხვარი, ძუკუ ლოლუა, ივანე რამიშვილი და ბაგრატ იოსელიანი.

## გრიშა მეგრელიშვილის მშობლებს, ნათესავ-მეგობართ და ნაცნობთ.

ჩვენ, გრიშას ახლო მეგობრებმა და მის წმინდა ხსოვნის პატივისმცემლებმა ვიქონიეთ მსჯელობა გრიშას ხსოვნის ღირსეულად აღნიშვნის შესახებ და გადავწყვიტეთ: ახლო მომავალში მივიდეთ მის საფლავზე და ახლავე შეუდგეთ მის ნაწერების გროვებას, რაიც შემოდგომიდან წიგნად გამოიცემა. უმორჩილესად ვთხოვთ ძვირფას გრიშას მშობლებს, ნათესავ-მეგობართ და ნაცნობთ ხელთნაწერებიდან ან დაბეჭდილი ლექსებიდან თუ რამ მოგეპოებათ შეგვინახოთ. აგრეთვე ვსთხოვთ როტმისტრ სერგო შანიძეს ფოტოგრაფიულ სურათად გადაალებინოს ის ადგილი (ახალციხეში) სადაც მტრებთან ომში გმირულად დაიღუპა გრიშა!..

გრიშას ახლო მეგობრები: გ. ლეონიძე, მიხ. ხერხეულიძე, ვახ. კილაძე, 6. კეცხოველი, ირ. დიდიძე და მიხ. ლოლობერიძე.

—

ვთხოვთ გაზ. „ჩვენ ქვეყანას" ეს წერილი გადასტამბოს.

## აზერბეიჯანი

### ქაღალდის რეკვიზიცია.

აზერბაიჯანის მთავრობამ დაადგინა გემთა საზოგადოების საწყობში დაგროვილი რამოდენიმე ათასი ფუთი ქაღალდის რეკვიზიცია მოახდინოს.

**510 მილიონი ბონების გამოშვება.** ამას წინად აზერბაიჯანის პარლამენტში მთავრობამ წარადგინა კანონპროექტი 510 მილიონი ბაქოს ბონების გამოშვების შესახებ.

ვექილოვის მოხსენებიდან სჩანდა, რომ ბაქოს ქალაქის გამგეობამ, სანამ ბაქოში ბოლშევიკები გაბატონდებოდნენ, გამოუშვა 62 მილიონი მანეთის ბონები. ბოლშევიკებმა კიდევ 227 მილიონი მანეთისა დაბეჭდეს. ასე რომ, სანამ ბაქო აზერბეიჯანის ხელში გადავიდოდა გამოშვებული იყო კიდეც 300 მილიონი მანეთის ბონები. პარლამენტის გახსნამდე აზერბაიჯანის მთავრობამ გამოუშვა 90 მილიონი მანეთისა და ქრისტეშობისთვეში კი ჯერ 100 მილიონის, შემდეგ 200 მილიონი მანეთის ბაქოს ბონები.

აპრილის 27-ს პარლამენტის მთავრობამ სთხოვა კიდევ 210 მილიონის გამოშვების ნებართვა. ამრიგად აზერბეიჯანის მიერ გამოშვებულ ბონების რაოდენობა უდრის 510 მილ. მანეთს. ეს ფული აზერბეიჯანს მხოლოდ მაისის ბოლომდე ეყოფა.

## სომხეთში

### სომხეთის დელეგაცია პრ. ვილსონთან.

სომეხთა დელეგაციის თავმჯდომარე პოღოს ნუბარ-ფაშა იტყობინება რომ მან და სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე აჭ. აჰარონიანთან ერთად აპრილის 27-ს ინახულა პრეზიდენტი ვილსონი და სომხეთის საკითხებზე დიდხანს ესაუბრა.

**„დიდი სომხეთი".**

„ამხატავორი" სწერს: სომეხთა საზავო დელეგაციის ცნობით, ინგლისი და ამერიკა გაერთიანებულ სომხეთის იდეას თავგამოდებით იცავენ. მათის აზრით, გაერთიანებულ სომხეთში კილიკიაც უნდა შევიდეს საფრანგეთიც უპერს მხარს „დიდ სომხეთის" იდეიას კიდ. იქის შეერთებაზე თანახმა არ არის.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

8 მაისი.

### ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი**, მაისის 7. ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. შენკურის მიმართულებით რიშინოს რაიონში ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტრის გამაგრებულ პოზიციებზე, მაგრამ გაძლიერებულ საარტილერიო ცეცხლის გამო იერიშმა უშედეგოდ ჩაიარა. არხანგელსკის მიმართულებით დრო გამოშვებითი სროლაა.

**დასავლეთის ფრონტი.** მურმანის მიმართულებით. პოვენცის ჩრდილოდასავლეთით ადგილი დავიჭირეთ. ოლონეცის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. მარიენბურგის მიმართულებით წითელმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა რამოდენიმე სოფელი. პონოვეჟის რაიონში წითელმა ჯარმა რემიგოლა დასტოვა და ახალ პოზიციებზე გამაგრდა ვილნოს რაიონში. ბელორუს-ლიტველთა წითელმა ჯარმა პოზელვი დასტოვა. ნოვოსვენციანის მიმართულებით წითელი ჯარი ისევ დაუახლოვდა მდ ვილეიკას და სოფელი გიუშტანი, სემენჩი კრიაჟი და ბოლინგრადოვი დაიჭირა.

**სამხრეთის ფრონტი.** იუზოვკის და დებალცევოს რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. ლუგანის მიმართულებით მოწინაამდეგის იერიშები გრძელდება, მოწინაამდეგე სცდილობს მდ. დონეცის მარცხენა მხარეზე გადასვლას, მაგრამ უნაყოფოთ. კამენკის რაიონი. კამენკის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა წამოიყვანეს 23 ტყვე, ხელთ იგდეს 2 ტყვიის მფრქვეველი. როსტოვის მიმართულებით ძლიერი იერიშებით მტერმა ჩვენი ჯარი შევიწროვა, რის გამო ჩვენი ჯარის მეორე ნაწილი, რომელიც სამხრეთით იყო დაბანაკებული, იძულებული გახდა უკან დაეხია. ტიხორეცკის მიმართულებით მოწინაამდეგემ მან ჩის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარი შეავიწროვა 800 კაცი, რომელნიც მანიჩის მარჯვენა მხარეზე ველიკოკნიაჟის სამხრეთ აღმოსავლეთისკენ შემოიჭრენ.

**მოსკოვი.** მაის. 7. რიგის განათლების კომისარიატმა პროლეტარული ხელობის სახელოსნო გახსნა.

კიევში დაიწყეს იმ ძეგლების ჩამოხსნა, რომელიც რევოლუციონურ ხანამდე იყო აგებული. პირველ რიგში ალექსანდრე მეორეს, ნიკოლოზ პირველის, კოჩუბეის, ისკრას, გენერალ დრენტელნისის, გრაფ ბობრინის და სტოლიპინის ძეგლების ნაშთებს ჩამოხსნიან. დაიწყო მოქმედება დეპეშათა მისიამ პირდაპირი მავთულით კიევსიმფეროპოლის შუა.

**რიგა.** მაის. 7. რიგის ქუჩებში მოძრაობა ნებადართულია ღამის 12 საათამდე.

**ლიონი.** მაის. 6. გერმანიის რწმუნებულების ღრამატის ფორმა მოწონებულ იქმნა.

**პარიზი.** მაის. 5. პრესბურგიდან იუწყებიან რომ ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი სტეფანეკი სასიკვდილოდ დაშავდა. ის ჰაეროპლანიდან 400 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა პრესბურგის მიდამოებში ორ იტალიელ აფიცერთან ერთათ ჰაერში სეირნობის დროს.

**ოდესა.** მაის. 7. ნავთსადგურის მართველობამ გადასწყვიტა დაიწყოს მუშაობა ომის დროს ჩაძირულ გემების ამოსაღებათ. ღირებულება ჩაძირულ გემებისა დიდია. სევასტოპოლის რაიონში შავი ზღვის ნაპირზე, საფრანგეთის სამხედრო გემებს გარდა სტამბოლიდან მოსული ინგლისური გემებია, რომელთა შორის დრედნოუტი „კვინ ელიზაბეტ" და რუმინიის მონიტერები არის. სანაპიროების ბლოკადამ უკანასკნელ ხანებში მკაცრი ხასიათი მიიღო. მოკავშირეთა გემები ყირიმიდან ოდესაში ვაშლის გატანის ნებასაც არ აძლევენ. ბლოკადას ხელმძღვანელობენ ინგლისელები.

**პეტროგრადი,** მაისის 4. როდესაც პეტროგრადის გარნიზონმა და მეზღვაურებმა და ბალტიის ფლოტმა გაიგო, რომ პეტროგრადს თეთრგვარდიელების მხრით საფრთხე მოელის, განაცხადეს, რომ ისინი, როგორც ერთი კაცი, ისე ასდგებიან წითელ პეტროგრადის დასაცავათ.

**კიევი,** მაისის 5. იმ ნოტის პასუხი, რომელიც რუმინიის მთავრობას წარედგინა და ბუხარესტში თავის დროზეა მიღებული, ჯერ კიდევ არ მოსულა.

**კიევი,** მაისის 5. გალიციიდან მოსული ჩხები იუწყებიან, რომ პოლონეთსა და გალიციას შორის შეთანხმება მოხდა. ლვოვი თავისუფალ ქალაქათ გამოცხადდა. მოსაზღვრე ადგილებს, რომელიც დასახლებულია უკრაინის და პოლონეთის მცხოვრებლებისაგან, განაგებს შერეული კომისია. სამხედრო შეთანხმება გულისხმობს აგრეთვე საბჭოთა რუსეთის და უკრაინის წინაამდეგ შეთანხმებულ მოქმედებას.

**ოდესა,** მაისის 6. ბესარაბიაში შემდგარმა მუშათა და გლეხთა დროებით მთავრობამ, რომლის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე კრივოროკოვი, წევრები, პონომორენკო, აბადვალოვი, კასპეროვსკი და ბუფოვი, შემდეგი მანიფესტი გამოსცა: აჯანყებულ მუშათა და ბესარაბიის რევოლიუციონურ წითელი არმიის სახელით, ცხადდება, რომ დღეიდან ბესარაბიაში ერთ და ერთი კანონიერ ძალა უფლებათ აღიარებულია მუშათა და გლეხთა მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა.

**მოსკოვი.** საბჭოთა ლატვიის სამხედრო ცნობა. მაისის 5. ლიფლანდიის ფრონტი. სამარ ადგილის მარცხენა მხარეზე მოწინაამდეგემ შემოგვიტია მაგრამ უკუ ვაქციეთ. ჩრდილოეთით ჩვენ იძულებული ვიყავით ზანიხბურგი დაგვეტოვებია. ფრონტის დანარჩენ ადგილებში დრო გამოშვებით ბრძოლაა და მზვერავი რაზმი მოქმედებს. პონევეჟის ფრონტი წითელმა ჯარმა ვილკომირი დასტოვა.

**საბჭოთა ლიტვის ცნობა** მაისის 5. ლიფლიანდიის ფრონტი. სამხედრო მოქმედება არ ყოფილა. კურლანდიის ფრონტი. მზვერავები მოქმედებენ. პონევეჟის ფრონტი. კუტოლატის რაიონში მოწინაამდეგი შეეცადა მდ. ლავენზე გადმოსვლას, მაგრამ უკუ ვაქციეთ. დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენ დაბა რელიგოვკა დავსტოვეთ.

**რიგა** მაისის 6. კუნძულ ეზელზე მცხოვრებ უმიწაწყლო გლეხების მდგომარეობა უნუგეშოა მას შემდეგ, რაც ეზელი რუსეთს ჩამოშორდა, უმიწაწყლო გლეხებს, ბატრაკების გარდა სამუშაო არა აქვთ. მთელი მიწები ბარონების მემამულეების ხელშია, რომლებიც საძოვარ ადგილებს აუმჯობესებენ და გააქვთ საზღვარ გარეთ დიდძალი ერბო და ყველი, იმ დროს როდესაც ათასობით მუშები უმუშაო არიან და შიმშილობენ.

**პსკოვი.** მაის. 6. პსკოვის ფრონტზე თეთრ-გვარდიელები ქიმიურ ყუმბარებს ისვრიან.

**რიგა.** მაის. 5. კურლიანდიაში ბარონები ხმას ავრცელებენ, თითქოს რიგა თეთრ-გვარდიელებს აეღოთ, მაგრამ ეს არ უშლით დიდ მემამულეებს ქონების ლიკვიდაცია მოახდინონ.

**რიგა.** მაის, 6. ჩრდილოეთ ქვეყნების ჟურნალისტების კონგრესი კოპენჰაგენში მაისის 17 შესდგება.

**ნაუენი.** მაის. 4. იტალიის მისია უარყოფს ცნობას. თითქოს ფიუმეს ახლოს საფრანგეთის ჯარსა და იტალიის ჯარის შორის შეტაკება მომხდარიყოს.

**ვიტებსკი.** მაის. 6. დრისენის აღმას. კომიტეტმა ბურჟუაზიას 600 ათასი მან. კონტრიბუცია დაადო.

**რიგა.** მაის. 5. რეველიდან იუწყებიან, რომ მთავრობამ ქალაქიდან ხელოვნურ ნაწარმოების და ყოველ-გვარი კულტურულ საფასურის გატანა აკრძალა. ხელოვნურ ნივთების შესანახათ განსაკუთრებული კომისია დაინიშნა.

**რიგა.** მაისის. 6. რიგის საბჭოთა დეპუტატების და ფაბრიკა-ქარხნების პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლების და პოლკის კომიტეტის სხდომა შესდგა. დანიშევსკიმ მოხსენება წაიკითხა თავდაცვის საკითხების შესახებ. მომხსენებლის აზრით გაზაფხულზე გადმოწყვეტილ ამბებია მოსალოდნელი. იმპერიალისტების შემოტევა რუსეთზე ლატვიიდან და ლიტვიიდან, ამბობს მომხსენებელი, გარკვეულათ იხატება მათ დაეხმარებიან ბურჟუაზიულ ეროვნული სახელმწიფოები, პოლონეთი და ფინლიანდია.

### ინგლისური პრესა.

**იტალიელ დელეგატთა დაბრუნება.**

იტალიის პარიზელმა ელჩმა ორშაბათს დილით პიშონს შეატყობინა, რომ ორლანდო და სონინო ორშაბათს სალამოთი გამოდიან რომიდან და პარიზში ოთხშაბათს დილით ჩამოვლენ. პიშონმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ სამთა საბჭოს აცნობა.

**ბელგია და ხელშეკრულება.**

ბელგიის სამეფო საბჭომ ნუმანსის მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად დაადგინა, ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას და ამასთანავე აღნიშნა, რომ მოკავშირეებმა ფინანსიური და ეკონომიური დახმარება უნდა აღმოუჩინონ ბელგიას.

**ხელშეკრულების გადაცემის ვადა.**

ჰფიქრობენ, რომ საზავო ხელ შეკრულება გერმანელებს, შესაძლებელია, ხუთშაბარს გადასცენ.

ვერსალიდან რანტცაუმ ბერლინში დეპეშით აუწყა, რომ ის შეეკითხა მოკავშირეებს, თუ როდის ჩააბარებენ გერმანიის დელეგაციას საზავო ხელშეკრულებას. რადგანაც კვირას პირდაპირი პასუხი არ მისცეს, გერმანიის დელეგატმა პასუხის უკანასკნელ ვადათ ორშაბათი დაუნიშნეს.

**კობერის თხოვნა.**

გერმანიის პარლამენტის ცენტრის პარტიის ცნობების თანახმათ ყოფილი კაიზერი გერმანიაში დაბრუნების ნებართვას თხოულობს.

**გერმანულ-ავსტრიის დელეგაცია.**

მაისის 12 სენ-ჟერმენში ჩამოვა გერმანულ ავსტრიის დელეგაცია, რომელიც 30 კაცისგან შესდგება. დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია ავსტრიის ყოფილი სამხედრო მინისტრი კლეინი

ბერლინელ მიტაგს ცაიტუნგი სჩივის, რომ მოკავშირეები ზავის შეკვრას აგვიანებენ, რაც არ შეეფერება საზავო კონფერენციის დიდ მიზანს და ღირსებას. გაზეთი ამბობს, რა ჩვენი საქმეა. თუ მაისის 1 პარიზში მომხდარ სისხლის ღვრის გამო ბ-ნ კლემანსოს უთანხმოება აქვს თავის სოციალისტებთან და ჩვენ არ შეგვიძლია მოუცადოთ იმას, თუ იტალიის მთავრობა და ორივე პალატა როდის მიიღებენ პარიზის კონფერენციაზე მიწვევას. ჩვენ არ შეგვიძლია დელეგაცია ვერსალში ვიყოლიოთ მხოლოდ დეკორაციისთვის, რომელიც დღეში 50 ათასი ფრანკი გვიჯდებაო.

**გერმანიის დელეგაციის შევიწროება**

ვერსალში გერმანიის დელეგაციის სახელით ბარონ ფონ ლეერსმა სთხოვა კლემანსოს წარმომადგენელს, აუწყოს მინისტრ-პრეზიდენტს, რომ გერმანიის დელეგაციას და მასთან მოყოლილ კომისიების ბევრ წევრს დიდი ხნით ვერსალში დარჩენა არ შეუძლია. მაგალითად, თუ მოკლე ხანში საზავო ხელშეკრულების დღე არ დანიშნეს, მინისტრები ლანდს ბერგი და გიუსბერტი გერმანიაში უნდა წავიდნენ. კლემანსომ კვირას აუწყა, რომ ხელშეკრულების გადაცემის დღის დანიშვნა ჯერ შეუძლებელია, ხსენებულ მინისტრების წასვლას არაფერი უშლის ხელს და უფრო მეტი, გერმანიის დელეგატების რწმუნებულებათა შესახებ ეჭვი არსებობსო. ამის შემდეგ ფრანგი პოლკოვნიკის გენრის საშუალებით კლემანსოს აუწყეს, რომ ლანდსბერგი და გისბერტი ორშაბათს ღამე უნდა გაემგზავრონ ბერლინში, თუ ნაშუადღევის 5 საათამდე ხელშეკრულების ჩაბარების დღეს არ დანიშნავენო. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის აზრით ასეთი ნაბიჯი აუცილებელი იყო და ხსენებული 2 მინისტრი დაბრუნდება პარიზში, როგორც კი ხელშეკრულების დღეს დანიშნავენო, რანტცაუ, და დანარჩენი დელეგატები და ექსპერტები ვერსალში დარჩებიან.

კვირას ვერსალში მოხდა ინციდენტი რომელიც ახასიათებს გერმანიის დელეგატებისადმი მოპყრობას. ორმა მინისტრმა გერმანიაში წამოსვლა დააპირა და პოლკ. გენრიმ მათ საამისო ნებართვა მისცა, მაგრამ ჩრდილოეთის სადგურზე მორიგე ოფიცერმა განაცხადა, რომ პოლკ. გენრის ნებართვა საკმარისი არ არის და როდესაც გერმანიის დელეგატებმა პროტესტი განაცხადა, ოფიცერი მათ ჯოხით დაემუქრა. ამის გამო გერმანიის დელეგაციამ საფრანგეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა.

**აღელვება სტრაალზუნდში.**

სტრაალზუნდში კვირას უწესოება მოხდა. ხალხი აღელდა თევზის გამყიდველის საქციელმა. დარბევა დაიწყეს თევზების სავაჭროებიდან და შემდეგ გადავიდენ კარაქის, რძის, პურის და ხორცის სავაჭროებზე. წესიერება ჯარისკაცებმა აღადგინეს და გამოცხადდა საალყო წესები.

**გერმანელი სოციალისტები პარიზში.**

„ფორვ." ის კორესპონდენტი ვერსალიდან იუწყება, რომ საზავო კონფერენციაზე გერმანიის დელეგატებად გაგზავნილ სოციალისტებს სრულებით წაართვეს საშუალება ურთიერთობისა, კორრესპონდენტი სწერს: რომ ტომა, სემბა და ლონგე პოსტდამში ყოფილიყვნენ და განა ვინმე აუკრძალავდა გერმანელ სოციალისტების მათ ნახვას და მათვის ხელის ჩამორთმევას.

### ბოლშევიკური ცნობები

**ნაუენი.** მაისის 3. გერმანიის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას მიმართა თხოვნით, ჰუნგრეთში დატყვევებული მაკენზენი თავის შტაბით გაანთავისუფლოს, რაზედაც მარშალმა ფოშმა უპასუხა, რომ ამ საკითხს ეხლა იხილავენ.

**მოსკოვი.** ორლანდოს და სონინოს პარიზში დაბრუნების გადაწყვეტილება მოულოდნელათ მიიღეს რომში უკანასკნელ ხანებში მომხდარ თათბირის შემდეგ.

**ბუდაპეშტი.** მაისის 6. რუმინიის ბანაკი იუწყება, სალონიკთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ ქალაქი რუმინელე-

---

სი „სამშობლოსათვის" ნამდვილი ხელოვნების გზის გადახვევაა. სასოწარკვეთილება შეგიპყრობთ, თუ უეცრათ ორს ახალს პატარა ნაწარმოებს თვალს არ მოჰკრავთ: „ესკიზი" და „დღეობა" (პროგრამაში არც ერთი არ არის ნაჩვენები): აქ კვლავ იღვიძებს ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელსაც საკმაოდ ემორჩილებიან: ფერები, ხაზები, კონტურები. ყოველ შემთხვევაში ეს საოცარი ბავში სათუთს მოვლაა თხოულობს.

5. იაკობ ნიკოლაძე.

საკმაოა შეხედო მის ასსურულ პროფილს, რომ წამსავე იგრძნო მადლიანი ხელოვანი. მისი მასალა ქვაა. მრავალი სიძნელე დაუდგა მას წინ. ჯერ ერთი სუსტი ტრადიცია: პოეზია საქართველოში საუკუნოებით ვითარდებოდა; მხატვრობასაც შორეული ძირები აქვს საქართველოში; ქანდაკება კი აქა-იქ თუ მოსჩანს როგორც უჩვეულო მოჩვენება ჩვენი მხარისა. შემდეგ: არ-ყოფნა საქანდაკო ატმოსფერისა: თბილისში ერთი ორი მცირე მოქანდაკე თუ მოიძებნება კიდევ. იაკობ ნიკოლაძე ხელოვნების ქურუმული სიყვარულით სძლევდა ყოველთვის ამ სიძნელეთ.

მის მარმარილოში არის უცხო სინაზე. ჩემთვის ყოველთვის მაჩვენებლათ დარჩება ის მოვლენა, რომ მისი „სალომე" ჯერ კიდევ დაუმთავრებელია: ნუ თუ მისმა კვერმა ვეღარ დაათავა სისასტიკით კვდარი ტუჩების კოცნა?! სიყვარული, რომელიც კოსმიური ხმალში გამოწვევაა და სასი კვდილო ბედი,—განა აქ არ ცნაურდება სალომეს სიყვარული იოქანაანისადმი?! და სალომეს კოცნა, ეს ხომ უნაზესია ყველა კოცნებზე და უსასტიკესი თანვე?! მოქანდაკემ ამოკვეთა ქვაში ნაზი კოცნა ტუჩების დაკვდომით მკვდარ ტუჩებზე და ხელების აქვითინებით,—მაგრამ სად არის უკანასკნელი სისასტიკის ხაზი?! ამდენ ხანს რას უცდიდა მოქანდაკე?! სინაზის ძილის დარღვევის თუ ეშინოდა?!

დამახასიათებელია მისი „მეფისტოც". ეს უარ-ყოფელი ირონისტი ქვაში „შესაბრალისია": მოკლე შეხეული შუბლი, დიდი ჩატეხილი და მოქცეული ცხვირი, ტუჩებზე ირონია და თვალებში „სისაწყლე"—ეს ფიგურა საინტერესო კონცეპციაა მეფისტუსი. აღსანიშნავია „რუსთაველიც": აქ არის სიბრძნის სინელე და აღმოსავლეთის დარბილება: მზიური პოეტი, რომელიც ბოლოს განდეგილობისთვის დაფიქრდა: საყვარელია იგი.

ნიკოლაძის ქვაში არ არის მიქელანჯელოსებური გაბრაზება და ვაჟური „ძალადობა": შესაძლოა ქართულმა სულმა აქაც იჩინა თავი. მოქანდაკემ იცის პლასტიური ქალურობა მარმარილოსი: მისი ხელიც გამოკვეთაში ნელსა და რბილს ალერსს ერთვის,—მაგრამ ხანდახან გინდა, რომ გახელებული ხვეწის რკალიც გაიხსნას.

6. ნიკო ფიროსმანაშვილი.

გამოფენის გამმაგრებელი ნიკო ფიროსმანაშვილია. სიცოცხლე და შემოქმედება ამ ოსტატისა გიჟური ლეგენდაა. ის არ იცნობდა არც ერთს მხატვარს და ერთი მხატვარიც არ იცნობდა მას. ის იცნობდა სამიკიტნოებს და კინტოები იცნობდენ მას. გენიალობის თესლები თავისთავად იწვოდენ და ინთებოდენ მასში. იგი ხატავდა მიკიტნებისათვის,—და დღესაც მრავალია გაბნეული მისი სურათები სადღაც დარაბების ქვეშ. ცოცხალია—არავინ იცის; მკვდარია—არავინ იცის. სახელიანიც არის და უსახელოც: პიროვანიცა და უპიროვნოც. ერთი კი ნამდვილია: საქართველოს შემოქმედებითი ძალა სიგიჟით ავარდა მასში. მისი აღმოჩენა ძმების ზდანევიჩების ესთეტიური საქმეა. ექვსი წელია ყვიროდენ მის შესახებ,—და აი მათი ძახილი გამართლდა.

ფიროსმანაშვილი ოსტატობით საფრანგეთის საუკეთესო ოსტატებს შეედავება, მისი „დღეობა" და „ქეიფი რთველის დროს"—ეს პირდაპირ ჰომიროსის ეპოსის ნაცეხია. ასეთი დიდი ტილო: ასეთი მრავალი დეტალებით, ასეთი რთული და მაგარი კომპოზიციით, ასეთი ბუნებითობით და თანვე ასეთი გამახვილებული ხელოვნურობით, ასეთი უბრალოებით და სიცოცხლით,—ასეთი ტილო ძვირად თუ ვისმე გადაუშლია. დაუვიწყარია მისი „ირემი". ექსპრესსია აქ უზენაეს წერტილს აღწევს: თანვე სიცოცხლის ხალისი და მადლი. შეუდარებელია მისი „აღდგომის ბატკანი": მას იგონებ ხოლმე დადალული შთაბეჭდილებით: ბატკანის გამოხედვას ვერსად წაუხვალ: და ათას რამეს გაგონებს იგი. შედევრია მისი „ნატურ მორტ"-ი. უცნაურია ამ სახის შემოქმედება: საგნები და ნივთები ბუნებას მოცილებულნი არიან,—და ამისათვის ვითომ „მკვდარნი". მაგრამ ხელოვნების სფეროში სუნთქავენ ისინი რაღაც სხვა სიცოცხლით. ძვირათ თუ ყოფილა მხატვარი ევროპაში, რომელიც არ დატყვევებულიყოს „მკვდარ ბუნების" ჯადოსნური სიცოცხლით. ნიკო ფიროსმანაშვილმა არ იცოდა არც ერთი შკოლა—და მაინც შექმნა რამოდენიმე „ნატურ მორტ"-ი. ხსენებული „ნატურ მორტ"-ი (ტიკი ღვინოთი, ჰქვები სავსე, თევზები და სხვ.) ისე ძლიერია წმინდა ხატულის თვალსაზრისით, რომ იგი არ ჩამოუვარდება არც ერთს ასეთი სახის ნაქნარს სეზანისას თუ მატისისას. საოცარია ის, რომ აქ აღარც პრიმიტივობა სჩანს. ნიკო ფიროსმანაშვილის ფენომენი ჯერ კიდევ არ არის სავსებით გახსნილი. გაიხსნება კი ოდესმე ეს საოცარი ლეგენდა?!

—

გამოფენაში მონაწილეობენ სხვებიც. მათი სტილი სხვაა,—და მათზე ალბათ სხვები იტყვიან. აქ უნდა მოვიხსენო მხოლოდ ერთი მხატვარი, რომელსაც არაფერი გამოუფენია, მაგრამ მთელი თავისი ძალა შესწირა გამოფენას. ეს არის დ. შევარდნიძე. მისი თავდადებული შრომა ქართული ხელოვნებისათვის საოცარია. რასაკვირველია—აქ „მადლობა" საჭირო არაა.

გრიგოლ რობაქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების ხელში გადავიდა. მაგრამ არის ნამდვილი ცნობები, რომ სოლნოკს უნგრეთის ჯარი მედგრათ იცავს. მდ. ტისას აქეთა მხარეს რუმინიის ჯარი არ არის.

**ლიონი.** მაისის 5. რუმინიის მთავარი ბანაკი იუწყება: დრავის მარჯვენა ნაპირზე რუმინის ჯარმა მოწინააღმდეგე დაამარცხა, წამოიყვანა 800 ტყე და რამოდენიმე ზარბაზანი ხელში ჩაიგდო. რუმინიის ჯართან ერთად მოდიან ოფიცრები (ყოფილი ჰუნგრეთის ჯარის და უნგრეთის სხვა ხალხი, რომელთა შორის იმყოფება გაბრიელ უგრონი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ნაგი და დამოუკიდებელთა ყოფილი დეპუტატი ფერდინანდ ურმსი. ამათ სურთ ჰუნგრეთის დროებითი მთავრობის შედგენა.

**ლიონი.** მაისის 5. კონფერენციის ხელშეკრულების მთავარი პირობები სხვა და სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ მოღვაწეებს აუწყებს. უკანასკნელი საერთო სხდომა შესდგება მომავალ კვირაში, როდესაც ყველა დელეგატი მიიღებს ხელშეკრულების ტექსტს.

**ლიონი** მაისის 6. (ამერიკული რადიო) იაპონიის დელეგაციამ შანდუნის საკითხის შესახებ განმარტებმა გამოაქვეყნა, საიდანაც სჩანს, რომ იაპონია აძლევს ჩინეთს შანდუნის ნახევარ კუნძულს და თვით იტოვებს ეკონომიურ უპირატესობას, რომელიც გერმანიის პრივილეგიებს შეადგენდა წინათ. იაპონიისა და ჩინეთის მოსაზღვრე ადგილებში იაპონიის მილიცია იქნება. შანდუნის ნახევარ კუნძულზე იაპონიას ჩინები შეადგენენ იაპონელ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით.

**პარიზი** მაისის 6. საფრანგეთის ფოსტამ ესტლანდიისა და ფინლიანდიის შორის უბრალო და დაზღვეულ კორესპონდენციების გადატან გადმოტანის საქმე განაახლა..

**ლიონი** მაისის 5. მოკავშირეთა სამანდატო კომისიამ გადასწყვიტა გერმანიის დელეგატები მთელი იმპერიის წარმომადგენლებათ სცნოს. ავსტრიის დელეგაციას დ-რ კლეინის „მეთაურობით“ 12 მაისისთვის მოელიან (ამერიკის ბევ. ბ. ცნობა) ჩიკაგო. გაზეთის „დეილი ნიუს“ კორესპონდენტი. ავსტრიას აეკრძალა გერმანიასთან შეერთება, აქედან სჩანს, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა ისარგებლებს იტალიის არყოფნით და შეერთებული შტატები აიძულის ამ საკითხში თავისი შეხედულება მიეღებინებიათ

**ლიონი** მაისის 5. ხალხთა ლიგის პირველი საქმე იქნება პრუსიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქში, ალენტეინში პლებისციტის მოხდენა იმის გადასაწყვეტათ, თუ ვის ეკუთვნის იგი გერმანიას, თუ პოლონეთს

**ლიონი** მაისის 5. იტალიელებმა ოფიციალურათ გვაუწყეს ორლანდოს და სონინოს პარიზში ოთხშაბათს დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

**ლიონი.** მაისის 5. ამერიკული რადიო. ხალხთა ლიგის კომისიამ მაისის 5-ს პირველ სხდომაზე მიიღო რეზოლიუციები ლიგის ორგანიზაციის საკითხების შესახებ. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი პიშონი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს, დრიუმონი მდივნათ.

**კარნოფონი.** მაისის 5. „დეილი ქრონიკ“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საზავო ხელშეკრულების მთავარ მუხლებს ცალკე გამოყოფენ შემდეგ ნაწილებათ: 1) სამხედრო-საზღვაო და საავიაციო პირობები, 2) ტერიტორიალური პირობები, 3) ფინანსიური და ეკონომიური პირობები, 4) დასჯისა და პასუხის-მგებლობის პირობები, 5) ხალხთა ლიგის კონვენციები და 6) კონფერენციის დადგენილება შრომის საერთაშორისო პარტიის შესახებ საზავო ხელშეკრულებას, რომელიც ბელგიისათვის საპატიო და დამაკმაყოფილებელ პირობებს შეიცავს, ხელს მოაწერენ ბელგიის დელეგატები, როგორც ეს სამეფო საბჭომ დაადგინა.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ოსმალეთთან ზავის პირობები.**

გაზეთ „აზერბაიჯანში“ დაბეჭდილია ის ზავის პირობები რომელიც მოკავშირეებს ოსმალეთისათვის წაუდგენიათ:

1) კონსტანტინოპოლი ოსმალეთის უნდა ქალაქად დარჩება, მხოლოდ მიერიდან პორტო-ფრანკოდ გამოცხადდება.

2) ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები ოსმალეთს დაუბრუნდება, ხოლო მათუმში თავისუფალ ქალაქად გამოცხადდება.

3) გეჯაზი, სირია და ირაკი (ბაღდადის, მოსულისა და ბასსორის ვილაიეთები) არაბეთის სახელმწიფოებათ გამოცხადდება, ხოლო ამათი ზეხელმწიფება (პროტექტორატი) ხალიფას უნდა მიეკუთვნოს.

4) ოსმალეთში დაწესდება სამნაირი კონტროლი: ადმინისტრატიულ საქმეების კონტროლის უფლება ექნება ინგლისს, სამხედრო საქმეთა—საფრანგეთს და სასურსათო საქმეთა—ამერიკას უნდა მიეკუთვნოს. ეს კონტროლი 25 წელიწადს გაგრძელდება.

5) ოსმალეთის მთელი რკინის გზა 25 წლით ინგლისის მმართველობაში უნდა გადავიდეს.

6) იზმიდისა და ვანის ვილაეთი ოსმალეთის სახელმწიფოში რჩება, მხოლოდ მათი ადმინისტრატიული გამგებლობა 15 წლის განმავლობაში საფრანგეთს ეკუთვნის.

7) ხმელთა შუა ზღვის კუნძულები ოსმალეთს დაუბრუნდება.

8) კუნძული კიპროსი და ეგვიპტე ინგლისს გადაეცემა.

9) ტრიპოლსი საბოლოოდ იტალიას გადაეცემა.

10) ოსმალეთის სომხები და ბერძნები უფლებრავად გათანასწორებულნი უნდა იყვნენ ოსმალებთან. ამის გარანტიად კულტურულ-ეროვნული ავტონომია უნდა მიენიჭოთ.

11) ოსმალეთის სამხედრო ძალა უნდა მეტად შემცირდეს: მის ჯარისკაცთა რიცხვი 50.000 არ უნდა აღემატებოდეს.

12) ოსმალეთი აზერბაიჯანის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს.

როგორც ხმებია ეს პირობები ოსმალეთმა არ მიიღო.

**გენ. პრჟევალსკის დამარცხება**

ბაქოში გავრცელებული ხმების მიხედვით ამას წინად ქ. პეტროვსკში დიდი სისხლის ღვრა მოხდა.

მთიელები თავს დაესხნენ ბიჩერახოვის რაზმს, რომელსაც ეხლა გენ. პრჟევალსკი მეთაურობდა. დიდი ბრძოლის შემდეგ პრჟევალსკის რაზმი დამარცხდა და იძულებული იყო ზღვისაკენ დაეხია როგორც იმავე წყაროებიდან იტყობინებიან გენ. პრჟევალსკის რაზმის გადასარჩენად ინგლისელებმა გემები მიაშველეს და ეს რაზმი დღემდე ზღვაში არის გაჩერებული.

**ინგლისური ტანკები ეკატერინოდარში**

ეკატერინოდარში ქარხანა „ყუბანოლი“-ს წინ მოედანზე რამდენიმე ათასი ხალხის თვალწინ გასინჯეს 8 ტანკა. ტანკები მშვენივრად მოქმედებდნენ.

**დიდი ცეცხლი**

„ტერსკი კაზაკი“ იტყობინება რომ აპრილის 27-ს დღის 3 საათზე ნავთის შადრევანს № 1 ცეცხლი მოედო. შემდეგ ცეცხლი ნავთის რუს გაჰყვა და მოედო № 2 შადრევანსაც. ქარმა ცეცხლი შორს გადასტყორცნა და მხოლოდ თავგამოდებულმა ცდამ გადაარჩინა მესამე შადრევანი, № 55. ჯერ დამწვარია 4 მილიონი ფუთი ნავთი. იწვის კიდევ № 1/233 და № 54/177 შადრევნები.

## კორესპონდენცია

### საჩხერელი ჯაშუში (სმირნოვი).

(წერ. საკ. კორესპ.)

ქ. ნოვოროსიისკში ვართ. გერმანეთ-ავსტრიიდან მოსული ქართველი სამხედრო ტყვეები დაღონებული არიან, რადგან მათ აქედან სამშობლოში აღარ უშვებენ... ტყვეებთან მისულა ერთი უცნობი პირი ხმა მაღლა ლაპარაკობს და ყველა ტყვეების ყურადღება მიუქცევია. საქართველოში არ წახვიდეთ, იქ ყველა ჯარში გაჰყავთ, რუს და სომეხს ახრჩობენ, ცხოვრება არ შეიძლება, გირვანქა პური 15 მან. ღირს, ინგლისი იქაურ მთავრობას დაჭერას უპირებს, არ წახვიდეთ არც ქართველები, აქ დაიცადეთ, სულ ერთია მოკლე ხანში საქართველოს დენიკინი დაიკავებს“... გვესმის მჭერმეტყველის პირით!.. გავოცდით, მივარდით, ვეკითხებით ვინ ხარ და რას ამბობ, ხალხს რისთვის ატყუილებთ? მოქადაგე შეკრთა, პროპაგანდა შესცვალა. სიტყვა ბანზე ააგდო და დაიწყო: „ქართველები ძლიერ მიყვარს, მაგრამ შარშან საჩხერეში დიდი უსამართლობა ჩაიდინეს პროლეტარიატის წინაშე“... „გთხოვთ გაგვაგებინოთ ვინა ხართ, თქვენი სიყვარული ნაკლებად საჭიროა ქართველებს“. ვეუბნებით ჩვენ.

— მე ყოფილი ოფიცერი ვარ, მუშათა ინტერესებისთვის, მრავალჯერ დასჯილი, გასულ წელს ოსეთით საჩხერეში ამოვედი, იქ ვიყავი ლტოლ მელსაც ვილი და ჩემის თვალით ვნახე, ის საშინელება, რომელიც ქართველებმა იკადრეს. ზარბაზნებით დატუქსეთ საბრძოლველად აგზნებული პროლეტარიატი, დახვრიტეთ ოსი მუშები, მე 4 ბატარეის სტუდენტობა გონებით ისე დაღონებულიყო, რომ მშრომელ ხალხს ყუმბარებს ესროდა.

ამ გვარ არა ადამიანურ სიმკაცრისათვის სტუდენტების ბატარეამ თავის ოფიცრებს იშხნელს და ზნამენსკის ჯვრები უბოძა...

მე ყველაფერი დაწერილი მაქვს, იქ იყვნენ აგრეთვე ოფიც. ცოორთქიფანიძე და სისორდია, საჩხერის მთაზე, სტუდენტები მეგრელიშვილი და ლოლობერიძე გაშმაგებით აწყობდენ საზვერავ პუნქტს და სიცილ ხარხარით ერთმანეთს ეუბნებოდენ: „აქეთ გავიწიოთ ოსები მოვსპოთ, იქით რუსები გადავულაპოთ და სხვა. ამ დროს კი უთანასწორო ბრძოლაში წელში სწყდებოდა საჩხერის პროლეტარიატი!..“

სიცილი ვერ შევიკავეთ.—აქ კამათი მოუხერხებელია, რაც საჩხერეში პროლეტარები იპოვოთ, ის კოლექციისათვის ლენინს შეუნახეთ, მხოლოდ ის გვიბრძანეთ, თქვენ ხომ ბოლშევიკი არა ხართ? ამ რამდენიმე წუთის წინად ტყვეებს დენიკინს უქებდით, ახლა კი პროლეტარების მესაიდუმლეთ გადაიათლოთ. არა მე უპარტიო ვარ, მაგრამ გეტყვით, რომ ქართველების რეჟიმს დენიკინის რეჟიმი მირჩევნია... ჩვენ ლაპარაკი შევსწყვიტეთ ტყვეებს უთხარით საეჭვო პირთათვის ყური არ ეგდოთ.

როცა პოლკოვნიკ კოსტ. იშხნელს [შარშან საჩხერეში ჯარის უფროსს), ვაჩვენე საეჭვო პირი მან, მითხრა, რომ მაგვარი რუსი ოსებში შევნიშნე ლტოლვილის მოწმობით და როცა დაჭერა დაუპირე, სადღაც მიიმალაო.

**ირაკლი.**

—

## საქართველოს სამხედრო გზაზე

ამას წინად კავკავიდან მოდიოდა ფურგუნი მგზავრებით. სადგურ ლარსში ყაზახებმა ფურგუნი გააჩერეს და მგზავრ ქალებს, მარო ავეტიქოვისას და ანნა ყაზახოვისას, გახადეს ფეხსაცმელი. ერთი ქალი ავად ყოფილიყო და ერთი ცალი ლიმონი მიჰქონდა წამლად, ყაზახებმა ისიც წაართვეს. დანარჩენმა მგზავრებმა თავი დაიხსნეს ფულის მიცემით, ყაზახები სიცოცხლის საჩუქებლად ნიკოლოზის ფულს თხოულობდნენ. ფეხშიშველა დარჩენილი მგზავრები გზაზე ავად გახდნენ. ყაზახებმა აგრეთვე მეფურგუნეს წაართვეს პური და თუთუნი დარიალს იქით ძარცვა-გლეჯამ ყველაფერს გადააჭარბა მგზავრები და ყაზახთა საზღვრებში დარჩენილი მცხოვრებნი თავზარდაცემულნი არიან. არავინ არავითარ ზომებს არ იღებს, ყაზახებს კი უფროსების არ ეშინიათ. ამას წინად კიდევ ლიახოვის ბრძანებით ყაზახებმა გარეკეს 125 სული საქონელი მთიელებისა და მათ შორის მოხევეებისაც. ყაზახები იტაცებენ ქალებსაც, სააღდგომოთ მათ გაიტაცეს ქიტია მადირაულის 18 წლის ქალი.

**ა. რ. ფოლადოვი.**

—

## ყაზახთა თ ვ-გასულობა ჩვენ საზღვრებთან.

კავკავი ხევი და მთიელები ამ ჟამათ სანოვაგის უქონლობით დიდ გაჭირვებას განიცდის. კადეტების გენერალ დენიკინის, ლიახოვის და ბაბკინის განკარგულებით ამიერიდან აკრძალულია ჩრდილო-კავკასიიდან საქართველოში პურის და ყოველ-გვარის სურსათის და სანოვაგის გატანა, რადგანაც საქართველო არ აძლევს ჩრდილო-კავკასიის მკვიდრთ და მათ ჯარებს რაც მათთვის საჭირო არის და საქართველოს მოეპოვება: მაგალითად თერგის ოლქი საჭიროებს, მედიკამენტს, სახვევებს, ჯარისთვის ყოველ გვარს შესამოსელს, ჩაი-შაქარს, თამბაქოს, ტყავეულობას, ყოველგვარს სასმელებს, აგრეთვე ხილეულობას, როგორც ხმელს ხილს ისე ახალს. ამ ნიადაგზედ თერგის ოლქის ახალ მთავრობამ, ვგონებ, თუ არა ვსცდები, მოლაპარაკება დაიწყო საქართველოს მთავრობასთან, მაგრამ ეს ერთი თვე იქნება მას შემდეგ რაც მთიულ-მოხევებს კავკავიდან სასტიკათ აეკრძალა არა მარტო პურის ყიდვა და გამოტანა, არამედ ყოველ-გვარი სანოვაგისაცა. მოხევები სიმარჯვის გამო ლარსის ტყიდან (18—20 ვერსია) შეშას ეზიდებოდენ და ყაზახებმა ესეც აკრძალეს. ძალიან გაბრაზებული არის საქართველოს მთავრობაზედ „გრადონაჩალნიკი“ გენერალი ბაბკინი, რომელსაც დენიკინის და ლიახოვისაგან კავკავში დიქტატურული უფლებები აქვს მინიჭებული და ქ. კავკავში და მის მიდამოებში რასაც მოინდომებს იმას ჩაიდენს. მე, ამის დამწერს, მარტის პირველ რიცხვებში მომიხდა ყოფნა კავკავში, სადაც ჩემთან ერთად იყვნენ მთიული მოხევეები და მთის ოსობა, 7000-მდე ურემი სიმინდით და სანოვაგით დატვირთულნი. შინისკენ რო მოემგზავრებოდენ თავისი სურსათით, დენიკინის განკარგულებით სურსათი არ გამოატანეს. რაღა დარჩენოდა საწყალს მთის ხალხს საკუთარის ცხენ-ურმებით და ჯიბით ჩამოსული ხალხი თითქო უგრომოთ დარჩენილნი ყოველ-დღე ეხვეწებოდენ და ფეხ-ქვეშ ეგებოდენ: გრადონაჩალნიკს ბაბკინს, ქალაქის თავს ბაევს, სასურსათო განყოფილების მეთაურს ვიღაც სომეხს ატამანოვს, ქ. კომენდანტს (გვარი დამავიწყდა) და ჩვენს საკონსულოს სეკრეტარს ბაქრაძეს ხომ მოსვენებას აღარ აძლევდენ. თვით კონსული ბ. მაჩაბელი კი სახადით მძიმეთ ავად იყო.

დენიკინისაგან წაქეზებულ ბაბკინისთვის ყოველ გვარი ხვეწნა მუდარა ამაო იყო ჩვენ ხვეწნაზე ბაბკინი ჩვენი მთავრობის ლანძღვას მოჰყვებოდა ხოლმე.

ამის შემდეგ ქალაქის გამგეობას მივმართეთ. კრებაზე გაარჩიეს ჩვენი პურის საკითხი. კრებაზე ქ. თავმა ბაევმა (ოსი არის) განაცხადა: „რისთვის არ უნდა მივცეთ საქართველოს პური?—ჩვენ ამ ჟამათ კართოფილი გვილპება, სიმინდი კი გვიობდება. აქ ჩვენი ხალხი ზარალობს, იქ მთის ქართველები და ოსები შიმშილს განიცდიან“. ბ-ნი ბაევი ძალას ატანდა ხმოსნებს, რომ ეს უკვე დატვირთული ურმები მაინც გამოეშვათ ამ უკანასკნელმა კრებამ გასტანა ნაშუადღევის 3 საათამდე.

ხმის უმეტესობით გადასწყდა, რომ ქართველებმა პური უნდა გაიტანონო. მეორე დღეს ქალაქის თავი ბაევი გრადონაჩალნიკთან ჩამოგვყვა და აცნობა ქალაქის სამმართველოს დადგენილება; მაგრამ ბაევმა თავისი წინანდელი განკარგულება შესცვალა და ასე გვითხრა: თქვენ უნდა წახვიდეთ ლიახოვთან ქ. პიატიგორსკში და დენიკინთან—ქ.ეკატერინოდარშიო“.ჩვენს აფიცერსაც გაგზავნით და რასაც გიბძანებენ ისე მოიქეცითო ჩვენ ნაწყენები გამოვბრუნდით და ბინებს მივმართეთ, ამავე დროს გრადონაჩალნიკს დაევალა ბოქაულისთვის ნაყიდი პური სულ ერთიან აეწერა და მოხალისეთა საინტენდანტოსათვის გადაეცა. როცა პრისტავი და გოროდოვოები ერთს ეზოში პურსა სწერდენ, სხვა მეპურეებმა სისწრაფით ცხენები შეაბეს და კერძო სახლებში პური მოაფარეს.

დღეს გამოირკვა ასე: ქალაქის სამმართველოს დაუდგენია, რომ კობის და თრუსოს ოსობას ვითომდა 250,000 მან. მედიკამენტი გამოუგზავნია ვლადიკავკაზში, მასთან ვითომ და ოსობა დიდს სანოვაგეს: ყველს, ერბოს, მატყლს და საკლავს აძლევს თერგის ოლქსა და ბაბკინის შეხედულებით ნება აქვს, რომ ამ ხალხმა პური გაიტანოს. ეს მედიკამენტი, რომელზედაც ბაბკინი ლაპარაკობს, საქართველოს მთავრობის ნება დართვით აფთიაქარმა კნეპმა კავკავში ორის ფურგუნით ჩამოიტანა და თავის საწყობში დააწყო და ნეტავი ვიცოდეთ, ოსებს ან წამალი და მედიკამენტი ვინ მისცა? ან მთავრობა სადა ჰყავს ოსებსა? ან ყაზბეგის საბაჟოზედ რის ძალით დავის ნება დართვით გაატარეს? გარდა ამისა თრუსო და კობი ერთი მუჭა ოსობა არის სულ 500 კომლი, რის შეძლება აქვს, რომ ამათ რამე თერგის ოლქს ყველი, ერბო და მატყლი, საკლავი და სხვა რამე მიაწოდონ.

**კალმის ყვერა.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადოთ შემდეგი:

როგორც გამოირკვა, ქართველ მხატვართა სურათების გამოფენის გახსნაზე მოსაწვევი ბარათები დამტარებლის ურიგობის მიზეზით მრავალ და წესებულებასა და საზოგადოებრივს ორგანიზაციას არ მიუღია.

ქართველ მხატვართა საზოგადოება ბოდიშს იხდის იმ დაწესებულებათა და საზოგადოებათა წინაშე, რომელთა წარმომადგენელნი ზემოხსენებულ მიზეზის გამო ვერ დაესწრნენ ჩვენი გამოფენის გახსნას.

ქართველ მხატვართა საზოგადოების **გამგეობა.**


## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 9 მაისს წარმოდგენილი იქნება

**თქმულება შოთა რუსთაველზე**

მონაწილეობენ: შულგინა, სპიტკო, სარაჯიშვილი, ინაშვილი და პოლიაევი.

10 მაისს „თაისი“, 11 მაისს დილით „ტრავიატა“ საღამოთი „სადკო“.

## ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

**საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს**

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—8)


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საავარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საავარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საავარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წინორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წინორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წინორის-წყლიდან-გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წინორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


**ე ქ ი მ ი**

**ა. მ. პაატაშვილი**

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. ი-დე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1

7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის**

**ბეგლოიანი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—48


სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.